

WIC NEWS

DIGEST

ივლისი - დეკემბერი 2014

It's not only about women, it's about information!



გენდერული პოლიტიკა

ქვეყანაში გენდერული პოლიტიკის სრულყოფის მიზნით ქალთა საინფორმაციო ცენტრი მუშაობს საქართველოში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმებისა და კანონმდებლობის დახვეწაზე. ამ მიმართულებით, ორგანიზაციამ მოამზადა „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის მდგრადობას უზრუნველყოფს. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შემუშავდა კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პაკეტი კვოტირების სისტემის შემოღების თაობაზე, რომელსაც „საარჩევნო კოდექსში“ და „საქართველოს ორგანულ კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ აისახება.

ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით ორგანიზაცია ჩართულია და მუშაობს სისხლის სამართ-

(გაგრძელება შემდეგ გვ.)

- გენდერული პოლიტიკა
- ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა
- ქალთა მიმართ ძალადობა;
- ქალები, გშვიდობა და უსაფრთხოება
- თეთა მობილიზაცია და ქალთა გაძლიერება
- ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა
- გენდერული საინფორმაციო პოლიტიკა
- ადვოკატირება

ივლისი-დეკემბერი

(დასაწყისი I გვერდზე)

ლის კოდექსში შესატან ცვლილებებზე.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ მონაწილეობდა „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ საქართველოს კანონის შემუშავებაში.“

გენდერული პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, ორგანიზაცია იყენებს საერთაშორისო ინსტრუმენტებს. 2014 წლის 8 ივლისს, წარადგინა გაეროში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გაერთიანებული ალტერნატიული ანგარიში, რის საფუძვლადაც სახელმწიფომ CEDAW კომიტეტ-

ტისგან მიიღო რეკომენდაციები.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი სათათბირო ხმის უფლებით არის წარდგენილი საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭოში, რაც მეტ უფლებამოსილებას ანიჭებს გენდერული საკითხების ლობირებისათვის პოლიტიკის განხორციელების დონეზე.

ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საჯარო მოხელეების გენდერული ცნობიერების ამაღლება.

საქართველოს სახელმწიფოს ანგარიში CEDAW კომიტეტზე



8 ივლისს, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციისა ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტში, საქართველოს მთავრობამ კონვენციის შესრულების ანგარიში წარადგინა. ქართული მხრიდან მოსმენაზე ორი, სამთავრობო და არასამთავრობო დელეგაცია იყო წარმოდგენილი. ორივე დელეგაცია გაეროში საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო.

საქართველოს სამთავრობო დელეგაციის მოსმენამდე, კომიტეტმა დახურული ბრიფინგი გამართა, სადაც სამოქალაქო სექტორს მიეცა საშუალება, CEDAW კომიტეტისათვის, ქვეყანაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებული მდგომარეობა გაეცნო. ღონისძიების მსვლელობისას კომიტეტის წევრებმა მოუსმინეს საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მათ მიერ წარდგენილი, ალტერნატიული ანგარიშის საფუძველზე, კითხვებიც დასვეს. ამავე დღეს

კომიტეტში, ორგანიზაციების ზეპირ მოხსენებებსაც მოუსმინეს.

აღსანიშნავია, რომ ჟენევაში „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. ღონისძიებას ორგანიზაციის წევრები გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და USAID-ის ეგიდით დაესწრნენ, ჟურნალისტი და ოპერატორი კი შვედური ორგანიზაცია, “Kvinna till Kvinna”-ს დახმარებით მოხვდა. მათმა დასწრებამ კომისიის სხდომიდან, ინტერნეტის საშუალებით, პირდაპირი ეთერი უზრუნველყო.

შეხვედრაზე მოხსენებით გამოვიდა „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორი, ელენე რუსეცკაია, რომელმაც კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებული ანგარიში წარუდგინა. დოკუმენტი მოიცავდა იმ ძირითად პრობლემებსა და მაგალითებს, რომლებიც საქართველოში ქალთა უფლებე-

ქალთა საინფორმაციო ცენტრი



ბის შეზღუდვას ეხება. მათ შორის იყო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, ინსტიტუციონალური მექანიზმები, ქალთა მიმართ ძალადობა, იძულებით გადაადგილებულ ქალთა პრობლემები, ნაადრევი ქორწინებები და ოჯახური ურთიერთობები საქართველოში და სხვა. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან კომიტეტში გაეროს სააგენტოების გაერთიანებული ანგარიში გაეროს ქალთა ორგანიზაციამ წარადგინა, სიტყვით გამოვიდა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელიც. არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე ინფორმაცია კომისიის წევრებს, ომბუდსმენის მოადგილემ, პაატა მელქაძემ გააცნო. ღონისძიებას სამთავრობო დელეგაცია სრული შემადგენლობით ესწრებოდა. მათ არასამთავრობო სექტორის ზეპირი განცხადებებიც მოისმინეს. კომიტეტის წინაშე კავშირ “საფარის” ხელმძღვანელი, ბაია პატარაია და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის წარმომადგენელი, ნინო წულუისკირი გამოვიდნენ.

ოფიციალური შეხვედრა და ანგარიშის წარდგენა 8 ივლისს გაიმართა, სადაც საკომიტეტო განხილვებზე, საზოგადოებამ და კომისიის წევრებმა, საქართველოდან ჩასულ დელეგაციას და მის ხელმძღვანელს, მანანა კობახიძეს მოუსმინეს. მან ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, გაეროს კონვენციის მე-18-ე მუხლის შესაბამისად შესრულებული ანგარიში წარადგინა.

საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი გაერთიანებული ანგარიში, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კოორდინაციით შემუშავდა და ის გაეროს შტაბ-ბინაში განიხილეს. დელეგაცია, რომელსაც მანანა კობახიძე ხელმძღვანელობდა, არასამთავრობოებისათვის გამართულ მოსმენას, მთელი შემადგენლობით დაესწრო. ანგარიშის წარდგენისას კომიტეტის წინაშე, სამთავრობო სექტორისაგან არაერთხელ გაესვა ხაზი სამოქალაქო საზოგადოების როლს, რომელიც გენდერის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში შეიტანეს.

აღსანიშნავია, რომ ქართული დელეგაციის გამოსვლას CEDAW კომიტეტზე, ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა თბილისში, გაეროს შტაბ-ბინაში მიადევნეს თვალთ.

რაც შეეხება არასამთავრობოების გამოსვლას, შენევიდან მისი პირდაპირი ტრანსლაცია პორტალზე ginsc.net უზრუნველყო.

კომიტეტმა არასამთავრობო ორგანიზაციების მომზადებული 44 რეკომენდაციიდან 23 მთავრობის რეკომენდაციაში ასახა.

შენევაში მიმდინარე პროცესებზე, “ქალთა საინფორმაციო ცენტრმა” ფილმი გადაიღო, რომელსაც საგანმანათლებლო მიზნებისათვის აქტიურად იყენებს.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ სათათბირო ხმის უფლება ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭოში

ადამიანის უფლებათა საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭო უფლებამოსილების განსახორციელებლად ქმნის სამუშაო ჯგუფებს, რომლის საქმიანობაში სამუშაო ჯგუფის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სათათბირო ხმის უფლებით, შესაძლებელია, ჩართული იყვნენ სხვადასხვა პროფილის არასამთავრობო და საერთაშორისო ორ-

განიზაციების, ასევე, ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, აღნიშნული სამუშაო ჯგუფის წევრი სათათბირო ხმის უფლებით გახდა. ელენე რუსეცკაია, ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ, აღნიშნულ პოსტზე, ხმათა უმრავლესობით წარადგინეს.

გენდერული პოლიტიკა

გენდერულ მრჩეველთა ინსტიტუტი

გენდერული პოლიტიკის კუთხით, “ქალთა საინფორმაციო ცენტრის” ერთ-ერთ მიღწევას, გენდერული თანასწორობის მრჩეველთა ინსტიტუტი წარმოადგენს. ორგანიზაციის ლობირების შედეგად, აღნიშნული თანამდებობა ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე შეიქმნა. მიუხედავად ორგანიზაციის მცდელობისა, მრჩეველთა ინსტიტუტი მყარი არ აღმოჩნდა, რადგან მისი შემოღება ხელისუფლების წარმომადგენლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ორგანიზაცია ინსტიტუტის მდგარობისათვის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტზე მუშაობს.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩეველები, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში დაინიშნენ. მათი ნაწილი გამგეობაში, ნაწილი კი საკრებულოში ასრულებს გენდერული თანასწორობის მრჩეველის ფუნქციას. კერძოდ, 2014 წლის ივნისის შემდეგ, გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩეველები, ქალაქ გორის საკრებულოსა და ახმეტის მუნიციპალიტეტ-

ში დაინიშნა. 2014 წლის სექტემბერში კი გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში გენდერული მრჩეველის საქმიანობა შეთავსებით დაეკისრა გორის საკრებულოს თანაშემწეს.რაც შეეხება ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, აქ გენდერული თანასწორობის მრჩეველი შტატით დაინიშნა.

აღსანიშნავია ზუგდიდის შემთხვევაც, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ახალგაზრდულ საქმეთა და გენდერული თანასწორობის განყოფილება შეიქმნა. “ქალთა საინფორმაციო ცენტრი” მიიჩნევს, რომ აღნიშნული ინიციატივა პოზიტიურად აისახება გენდერული თანასწორობის დაცვაზე.

განსხვავებული პრაქტიკა არსებობს მრჩეველის საშტატო ერთეულთან მიმართებით. მუნიციპალიტეტების ნაწილმა შტატში ჩასვა გენდერული თანასწორობის მრჩეველი, ნაწილმა კი უფლებამოსილებები სხვა სამსახურს შეუთავსა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მთლიან სურათს არ ასახავს.

“გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმები ადგილობრივ თვითმმართველობაში“

15 აგვისტოს, საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომლის მიზანაც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერების მხარდაჭერა იყო, ქალთა საინფორმაციო ცენტრმა ფართო საზოგადოებას წარუდგინა სპეციალური კვლევის (“გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმები ადგილობრივ თვითმმართველობაში“) შედეგები.

კვლევა, საკანონმდებლო ანალიზსა და საჭირო ცვლილებების შესახებ რეკომენდაციებს მოიცავდა. ამასთან, დამსწრეებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორცაა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციონალური მექანიზმი, მისი დახვეწის გზები, საჭირო ცვლილებები და არსებული გამოცდილება. შეხვედ-



რას ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის, მთავრობის წარმომადგენლები და გენდერული მრჩეველები დაესწრნენ.

ღონისძიებაზე “ქალთა საინფორმაციო ცენტრმა” ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებისათვის, სამუშაო ჯგუფის შექმნის იდეა წამოაყენა, რომელსაც დამსწრეთა მხრიდან დადებითი შეფასება მოჰყვა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ჯგუფი პერიოდულად შეიკრიბება. არსებულ მდგომარეობას განიხილავს და გენდერული თანასწორობის კანონში შესატან ცვლილებების პაკეტზე იმუშავებს. შეხვედრას თბილისის ვიცემერი წარმომადგენელი, ნინა ხატისკაცი და პრემიერის მრჩეველი ადამიანის უფლებათა საკითხებში ნატა ჯალიაშვილი ესწრებოდნენ. მათ სამუშაო ჯგუფ-

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

ში ჩართვისა და აქტიური მონაწილეობის სურვილი გამოთქვს.

სამუშაო ჯგუფმა „ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებისათვის“ ხუთი სამუშაო შეხვედრა გამართა. მისი მიზანი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავება იყო, რომელიც გენდერული თანასწორობის კანონით განამტკიცებს გენდერული თანასწორობის ინსტიტუციურ მექანიზმს და უზრუნველყოფს მდგრადობას. სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ როგორც ადმსრულებელი, ასევე საკანონმდებლო შტოს წარმომადგენლები, სახალხო დამცველის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა გენდერული თანასწორობის კანონში შესატანი ცვლილებები. მოწვეულმა ექსპერტმა სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად შეიმუშავა გენდერული თანასწორობის საბჭოს განკარგულების პროექტი და გენდერული თანასწორობის მრჩევლის უფლებამოსილების დოკუმენტი.

სამუშაო ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ გენდერული თანასწორობის საბჭო საკრებულოს დონეზე უნდა შეიქმნას, ხოლო გენდერული თანასწორობის მრჩევლის შტატი ადმსრულებელ ორგანოში უნდა დაიშვას.

კონფერენცია „გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობაში“.



10 ნოემბერს, ქალთა საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, კონფერენცია „გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ გაიმართა.

ღონისძიების მიზანად ისახავდა თვითმმართველობაში გენდერულად მგრძობიარე მმართველობის ხელშეწყობას. ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმის დანერგვის გზით. შეხვედრის ფარგლებში ფართო საზოგადოებისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აღნიშნულ საკითხებზე მომზადებული რეკომენდაციების, მათ შორის, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის საჯარო განხილვა გაიმართა.

კონფერენციას დაესწრნენ საკანონმდებლო და ადმსრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ხელისუფლების, ადმსრულებელი და საკანონმდებლო შტოს წევრებმა

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორისმა და პარლამენტთან არსებულმა გენდერული თანასწორობის საბჭომ, მზაობა გამოთქვეს, ლობირება გაუწიონ აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს და მხარი დაუჭირონ გენდერული თანასწორობის კანონში შესატანი მომზადებულ ცვლილებებს.

ქალთა საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, OXFAM-ის გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ფონდი „სოხუმის“ ხელშეწყობით გაიმართა.

გენდერულ საკითხებში მრჩევლების დანიშვნისა და საკითხის ლობირებას „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM-ის დაფინანსებული პროექტის „გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური თანამონაწილეობის გაძლიერების გზით“ ფარგლებში ახორციელებდა.

გენდერული პოლიტიკა



ტრენინგების ციკლი საკრებულოს თავმჯდომარეების, მერებისა და გამგებლებისთვის

2014 წლის ივლის-ოქტომბერში, ჩატარდა ტრენინგების ციკლი “ადგილობრივი თვითმმართველობების ახლადარჩეული საკრებულოს თავმჯდომარეებისათვის, მერების და გამგებლებისთვის”. ტრენინგები G3 დემოკრატიული მმართველობა საქართველოში პროექტის ფარგლებში შედგა. ტრენინგებში „ქალთა საინფორმაციო ცენტრიც“ ჩაერთო. ორგანიზაციის წარმომადგენელმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა გადამზადება გენდერის მიმართულებით ჩაატარა.

ტრენინგების მიზანი გახლდათ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ახლადარჩეულ მერების და საკრებულოს თავმჯდომარეებისათვის გენდერული თანასწორობის პრინციპების და გენდერული მეინსტრიმინგის გა-

ტარების მნიშვნელობის გაცნობა, ასევე მათი ცნობიერების ამაღლება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების როლსა და მნიშვნელობაზე. „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ ჩატარებულ ტრენინგებს ჯამში 110 მერი, გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე დაესწრო.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ გენდერული თანასწორობის შესახებ ტრენინგები პროექტების: “გენდერული სამართლიანობა ქალთა პოლიტიკური თანამონაწილეობის გაძლიერების გზით” OXFAM – ის მხარდაჭერით და USAID -ის პროექტის “ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის” ფარგლებში ჩაატარა.

ტრენინგები თბილისის საკრებულოს წევრებისათვის

18 და 19 ოქტომბერს, გულაურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე ორდღიანი ტრენინგი ჩატარდა.

ტრენინგის ციკლს „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ტრენინგი შეუერთდა. მან თბილისის საკრებულოს წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს, გენდერული თანასწორობის შესახებ, ორსაათიანი სესია ჩაუტარა.

მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციას გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების, საქართველოში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის, ასევე იმ ძირითადი საკანონმდებლო ბაზის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიღწევას. ტრენინგის მონაწილეებმა ასევე

ისაუბრეს პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობასა და ხელისშემშლელ ფაქტორებზე, გენდერულ ძალადობასა და გენდერულ სტერეოტიპებზე.

ტრენინგის სესია გენდერული თანასწორობის შესახებ ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM-ის დაფინანსებული პროექტის “გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური თანამონაწილეობის გაძლიერების გზით” და USAID -ის მხარდაჭერილი პროექტის „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისთვის“ ფარგლებში ჩატარდა. ტრენინგი თბილისის საკრებულოს აპარატის ორგანიზებით და გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოში „UNDP“-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

ქალთა საინფორმაციო ცენტრი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელისშეწყობის მიზნით მუშაობს, როგორც საკანონმდებლო, ასევე, ინდივიდუალურ დონეზე. ორგანიზაცია თანამშრომლობს სხვადასხვა აქტორთან და სამუშაო ჯგუფთან - „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისათვის საქართველოში“ ერთად ლობირებს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის საკითხს.

ამ კუთხით აღსანიშნავია შეხვედრა პრეზიდენტსა და ქალ დეპუტატებთან, ასევე „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ თანამშრომლობა მედიის წარმომადგენლებთან, რასაც ორგანიზაცია მომავალშიც გეგმავს.

გენდერული კვოტა – როგორც პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი მექანიზმი

ივლისი-აგვისტოს პერიოდში ქალთა საინფორმაციო ცენტრმა ადგილობრივი ექსპერტის საშუალებით კვლევა ჩაატარა, რომელიც ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზის შესწავლასა და კვოტირებასთან მიმართებაში საერთაშორისო გამოცდილებას მოიცავდა.

არსებული მონაცემებით, ამ ეტაპზე, მთავრობაში 19 მინისტრიდან მხოლოდ სამია ქალი, პარლამენტის 150 წევრს შორის ქალთა რაოდენობა 17-ს შეადგენს. რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველობას, 2154 წევრიდან, საქართველოს მასშტაბით, საკრებულოებში მხოლოდ 246 ქალი შევიდა. ამასთან, ერთ-ერთ პრობლემას ისიც წარმოადგენს, რომ ქვეყნის მასშტაბით, 12 თვითმმართველ ქალაქში, არცერთი მერი ქალი არ არის. რაც შეეხება გამგებლებს, 59-დან ქალი მხოლოდ ერთი, მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელია.

კვლევის მიხედვით, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე გამოიკვეთა, რომ ბავშვთა ინტერესებიდან გამომდინარე კანონპროექტების სერიოზულ განხილვას საკანონმდებლო ორგანოები მას შემდეგ იწყებენ, როცა პარლამენტის შემადგენლობაში 20% ქალია. მათი 30%-ის შემთხვევაში, განხილვა ქალთა ინტერესებიდან გამომდინარე კანონები, ხელისუფლების სტრუქტურებში, 40%-50% ქალებისა და მამაკაცების თანაბარი ოდენობის შემთხვევაში მაღალი პასუხისმგებლობის ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის გადაწყვეტილებები მიიღება, რომლებიც ქვეყნის მდგრად განვითარებას უწყობენ ხელს.

კვლევაში ასევე საუბარი იყო იმ ადგილობრივი თუ საერთაშორისო ვალდებულებების შესახებ, რაც საქართველოს ხელისუფლებას ქალთა პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველსაყოფად აქვს აღებული.

აღნიშნული კვლევის შედეგები სექტემბერში „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისთვის საქართველოში“ გაფართოებულ სამუშაო ჯგუფს გაეცნო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საერთაშორისო, ადგილობრივი, დონორი ორგანიზაციები, ცენტრალური საარჩევნო კომისია და პოლიტიკური პარტიები. შეხვედრისას კვლევის, „გენდერული კვოტა, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმის“ პრეზენტაცია შედგა. კვლევაში გაანალიზებულია ინფორ-



მაცია სხვადასხვა ქვეყანაში არსებული გენდერული კვოტების შესახებ, რაც იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ კვოტირების რა ტიპის სისტემა იქნება ყველაზე ეფექტური საქართველოსათვის.

მონაწილეებმა განიხილეს ის შესაძლო ეფექტური მექანიზმები, რომლებიც გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე ქალთა რაოდენობის გაზრდას შეძლებს.

სამუშაო ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია, კვოტებზე საჯარო დიალოგი იმის ახსნით დაიწყო, თუ რა არის კვოტა, როგორ მუშაობს და რისთვის გამოიყენება იგი. სამუშაო ჯგუფი 2014 წლის თებერვალში, „ქალთა საინფორმაციო ცენტრისა“ და OXFAM-ის მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე შეიქმნა, სადაც დადგა საჭიროება აქტორებს შორის კონსოლიდირებული მუშაობის შესახებ, რომლის კოორდინირებაც NDI-იმ აიღო თავის თავზე. მისი მიზანია ერთიანი პლატფორმის შექმნა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობისათვის და 2016 წლის მოწვევის პარლამენტში, ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა.

პროექტის, „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გამლიერებისთვის ფარგლებში“, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელისშეწყობის მიზნით, საარჩევნო კოდექსში რეკომენდაციათა პაკეტი შემუშავდა.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

TASK-FORCE (სამუშაო ჯგუფი) - სტრატეგიის შემუშავება



15-16 ივლისს, კაჭრეთში, Task-Force სამუშაო ჯგუფის სტრატეგიული დაგეგმარების სესია ჩატარდა. ერთობლივი მუშაობისას ჯგუფის წევრებმა ძირითადი საფრთხეებისა და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირება მოახდინეს, შეჯერდნენ კვოტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის ფორმაზე, გაანალიზეს სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფები და განსაზღვრეს მათთან მუშაობის სტრატეგიები. გარდა ამისა, ჯგუფმა შეიმუშავა კონკრეტული მესიჯები კვოტებისა და ქალთა პოლიტიკური ჩართულობის შესახებ. ასევე განისაზღვრა მოკლევადიან პერსპექტივაში, დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა.

სამუშაო ჯგუფის დროს CEDAW კომიტეტზე ქართული მხარის გამოსვლა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი შეფასდა. ელენე რუსეკაიამ სამუშაო ჯგუფს ასევე წარუდგინა პრეზენტაცია, რომელიც კვოტირების საკითხს, მის მნიშვნელობასა და აუცილებლობას ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, წარდგენილი რეკომენდაციებიდან, კომიტეტმა საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ საბოლოო ანგარიშში, 22 მათგანი ასახა.

Task-Force ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ სამუშაო ჯგუფი, როგორც სამუშაო სახის, ასევე, ექსპერტებთან და პოლიტიკოსებთან შეხვედრებს პერიოდულად მართავს. ღონისძიებების ფარგლებში საზოგადოებას ეცნობება ის ინფორმაცია, რომლებსაც სამუშაო ჯგუფი ერთობლივი ღონისძიებების პროცესში იღებს. ჯგუფი, ძირითადად, კვოტირების ლობირების საკითხზე მუშაობს.

მოეწყო ქალთა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დეპუტატ ქალთა შეხვედრა. შეხვედრის მიზნებს წარმოადგენდა დამსწრეთათვის, NDI-ს მიერ ჩატარებული ფოსკუს-ჯგუფების გამოკითხვის შედეგებისა და საკანონმდებლო ინიციატივის განცობა, რომელიც გენდერული კვოტის მექანიზმის დანერგვას გულისხმობს. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე იმსჯელეს კონსოლდაციაზე ქალთა მიმართ ძალადობისა თუ კვოტირების საკითხებთან დაკავშირებით.

შეხვედრისას გამართული პრეზენტაციის თანახ-

მად, გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის ნაწილი ქალი პოლიტიკოსების პასიურობაზე საუბრობს. ფოკუს ჯგუფის შედეგების თანახმად კი, რომ მოსახლეობა ქალებს ერთმანეთისადმი არასოლიდარულადაც მიიჩნევს.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა და დეპუტატებმა ასევე იმსჯელეს სტერეოტიპების გამომწვევ იმ მიზეზებზე, რომლებიც საზოგადოებაში ქალი პოლიტიკოსის მიმართ ჩნდება.

სამუშაო ჯგუფი - “ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისთვის” ინიციატივით სექტემბერში გაიმართა შეხვედრა პრეზიდენტთან ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით. შეხვედრაზე განხილულ იქნა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები გენდერულ ჭრილში. ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი და კანონმდებლობაში გენდერული კვოტის მექანიზმის დანერგვაზეც ისაუბრა. უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ამ საკითხმა და შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას ქალთა საკითხებთან მიმართებაში მხარდაჭერა აღუთქვა.

დეკემბერში სამუშაო ჯგუფის წევრებმა, ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა - ელენე რუსეკაიამ და გენდერული სამართლიანობის ხელმძღვანელმა - რუსუდან კერვალიშვილმა გააკეთეს პრეზენტაცია კვლევის „გენდერული კვოტა, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი“ შედეგებისა და კვოტირების დანერგვის მიზნით საკანონმდებლო კანონპროექტის შესახებ. ღონისძიება რომელსაც NDI ყოველწლიურად მართავს და მას გადაწყვეტილების მიმღები პირები ესწრებიან. აღსანიშნავია პრეზიდენტისა, ვიცე-სპიკერის, იუსტიციის მინისტრის, სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანების წევრების მხარდაჭერა კვოტებთან დაკავშირებით, რომელიც ღონისძიებაზე დაფიქსირდა. პრეზენტაციის შემდეგ კი გაიმართა საინტერესო დისკუსია და გამოიკვეთნენ კვოტირების როგორც მომხრეები ისე მოწინააღმდეგეები

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

კოალიცია „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“ – შეხვედრა გორში

კოალიციამ „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“, 25 სექტემბერს გორში მორიგი შეხვედრა გამართა. შეხვედრას, რომელიც გორის „არტ-კაფეში“ შედგა, მოწვეული სტუმრებიც ესწრებოდნენ. მათ შორის იყვნენ გორის საკრებულოს წევრები: ნინო ზურაბაშვილი და თამარ თედლიაშვილი, ასევე გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. შეხვედრის მონაწილეებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს გენდერული კვებების დანერგვის საჭიროებაზე საქართველოში. გაეცნენ არსებულ სტატისტიკას და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, რომელიც Gender Task Force – GTF სამუშაო ჯგუფის მიერ მზადდება.

კოალიციის წევრებისა და საკრებულოს წარმომადგენლობისათვის მნიშვნელოვანი სიახლე იყო, სამუშაო ჯგუფის, „ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებისათვის“ შედეგების გაცნობა და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში არსებული ხარვეზების გაანალიზება.

შეხვედრა ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM-ის დაფინანსებული პროექტის “გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური თანამონაწილეობის გაძლიერების გზით” ფარგლებში ჩატარდა.



კოალიცია „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“ – შეხვედრა გორის საკრებულოს თავმჯდომარე – პაპუნა კობერიძესთან.

9 სექტემბერს, ქალთა საინფორმაციო ცენტრის და კოალიცია „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“ წევრები, სხვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, გორის საკრებულოს თავმჯდომარეს, პაპუნა კობერიძეს შეხვდნენ. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძვლის ჩაყრას ისახავდა მიზნად.

შეხვედრაზე ქალაქ გორში არსებული პრობლემები წამოიჭრა და მათი შესაძლო მოგვარების გზებიც დაისახა. საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, მონაწილეთა თანხმობით, ბიუჯეტირების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების ჩართვა დაიგეგმა. პაპუნა კობერიძის თქმით, ამ გზით მოხდება გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტის შედგენა, რაც, თვითმმართველ ორგანოს, არსებული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება.



მედია მონიტორინგი



ქალთა საინფორმაციო ცენტრი

იმისათვის, რომ გამოკვეთილიყო, როგორ აშუქებს მედია გენდერულ თემატიკასა და ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რამდენად იყო დაცული, როგორც საარჩევნო პროცესში, ასევე მედიაში, გენდერული ბალანსი, როგორი ფორმითა და ტონით გაშუქდნენ წარმოდგენილი კანდიდატები, რამდენად მიუკერძოებლად და დაბალანსებულად, ამავე დროს, რამდენად პროფესიონალურად აშუქებდა მედია მთლიანად თვითმმართველობის არჩევნების კამპანიასა და მის თანმდევ გენდერულ საკითხებს. “ქალთა საინფორმაციო ცენტრმა” 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებისათვის მედია მონიტორინგი განახორციელა. კვლევა “ქალთა საინფორმაციო ცენტრის” დაკვეთით, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ განახორციელა პროექტია “ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გამძლიერებისათვის” ფარგლებში.

ორი თვის მანძილზე, დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა შვიდი ცენტრალური (საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2“, „იმედი“, „კავკასია“, „მეტრო“, „ტაბულა“) და შვიდი რეგიონული არხი („გურჯაანი“, „ქვემო ქართლი“, ახალციხის „მეცხრე არხი“, „რიონი“, „ოდისი“, „ტვ 25“). მონიტორების მხრიდან გამოიკვეთა ისეთი ძირითადი პრობლემები, როგორებიცაა არასწორი ტერმინოლოგიის გამოყენება ჟურნალისტების მხრიდან („სუსტი სქესი“, „მანდილოსანი“, „ქალბატონი“), თვითდისკრიმინაცია თავად ქალი პოლიტიკოსებისგან, როდესაც

ისინი ხშირად აპელირებენ სქესით და უსვამენ ხაზს, რომ არიან ქალები, დედები, და რომ უკეთ ესმით სოციალური საკითხები. ტელეკომპანიების მხრიდან ქალი კანდიდატების გაშუქების ტენდენციაც, კაცებთან შედარებით, ოდნავ განსხვავებული იყო. მონიტორინგმა აჩვენა, რომ რეგიონული ტელევიზიების პირველ ბლოკში ქალი პოლიტიკოსები უმეტესად მაშინ შუქდებოდნენ, როდესაც მერობის კანდიდატს ან სიის პირველ ნომერს ახლდნენ თან. ამასთან, ჟურნალისტები იშვიათად წერდნენ მათთან კომენტარებს. რაც შეეხება გაშუქების საკითხს, საერთო ჯამში, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ქალი კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია გაუშვეს გადაცემის მეორე და მესამე ბლოკში, მანამდე კი ეთერში გადიოდა განათლებისა თუ ზოგადი საკითხები. რაც შეეხება პირველ ბლოკს, ის კაც კანდიდატებს ეხებოდა.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, ისეთი დადებითი ტენდენციები, როგორებიცაა ქალთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული შეხვედრები, რომელებსაც, უმეტესად ქალები ესწრებიან, თუმცა მამაკაცის დასწრების შემთხვევაში, ტელევიზიები კომენტარს აუცილებლად იღებენ.

მედია მონიტორინგმა გამოკვეთა, რომ საჭიროა ტრენინგები ჟურნალისტებისათვის, რათა მათ პროფესიულ საქმიანობაში დახვეწონ მუშაობის ტექნიკა, ჰქონდეთ ინფორმაცია, როგორ გააშუქონ გენდერული თემატიკა სწორად და ეფექტურად.



მედია მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაცია და ჟურნალისტების დაჯილდოვება

28 ნოემბერს “ქალთა საინფორმაციო ცენტრმა” მედიამონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია გამართა. მედიამონიტორინგი პროექტის “ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გამდიერებისათვის” ფარგლებში ჩატარდა და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდს მოიცავდა. კვლევის მთავარი მიზანი იყო, გამოველინა, როგორ წარმოაჩინდა მედია ქალ კანდიდატებს და რამდენად ეთმობოდა ეთერი მათ წინასაარჩევნო პროგრამას. მონიტორინგი “ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ”, “ქალთა საინფორმაციო ცენტრის” დაკვეთითა და მხარდაჭერით განახორციელა.

პრეზენტაციის დასასრულს სპეციალური ჯილდოები გადაეცათ იმ ჟურნალისტებსა და მედიასაშუალებებს, რომლებმაც გენდერული თემატიკის

გაშუქებას, განსაკუთრებული დრო დაუთმეს. ესენი არიან: ტელეკომპანია „თანამგზავრი“, ტელეკომპანია „ბორჯომი“, რადიო თავისუფლება გადაცემა „გენდერული ამბები“, ჟურნალი „ლიბერალი“. ჟურნალისტები: მარიკა ბაკურაძე (ტელეკომპანია „იმედი“), ნინო მთვარაძე (ტელეკომპანია TV3), ვიკა ბუკია (საზოგადოებრივი მაუწყებელი), ალექსანდრე ლორთქიფანიძე (ტელეკომპანია „მაცენტრო“), ნასტასია არაბული (ონლაინ პორტალი „What I See“).

წახალისებული ჟურნალისტების და დამსწრე საზოგადოების მხრიდან ანგარიშის პრეზენტაციის შედეგად გამოიკვეთა ჟურნალისტთა გადამზადების საჭიროება, რაზეც “ქალთა საინფორმაციო ცენტრი” მუშაობას გეგმავს.



ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

ქალთა მიმართ ძალადობა

ქალთა მიმართ ძალადობა ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს. „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, ამ კუთხით, როგორც ვაცებთან, ასევე ქალებთან, ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობს. პროცესში გამოიყენება როგორც სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიებები, ასევე პირისპირი, სატელეფონო და ონლაინ იურიდიული საკონსულტაციო სერვისი.

ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს როგორც ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ისე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა ძალადობის ფორმების და გამოვლინებების, ასევე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციათა სერვისების, ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების შესახებ. ამასთან, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ მუშაობს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და სერვისების დახვეწაზე, ჩართულია რეკომენდაციებათა შემუშავების პროცესში.

ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს ამ თემაზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

ტრენინგი მოსამართლეების, პროკურორებისა და პოლიციელებისათვის



„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, ლოპოტას ტბაზე, ახმეტის რაიონში მომუშავე პოლიციელების, პროკურორებისა და მოსამართლეებისათვის, ოჯახში ძალადობისა და მისი პრევენციის შესახებ, ტრენინგი ჩატარა. ტრენინგის ფარგლებში ასევე საუბარი იყო, თუ როგორ უნდა მოიქცეს სამართალდამცავი მაშინ, როდესაც ოჯახში ძალადობის შემთხვევებში გამოიძახებენ.

ტრენინგის დასასრულს, მონაწილეებს, სერტიფიკატები შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ლევან იზორიამ და პოლიციის აკადემიის წარმომადგენელმა, ნოდარ სააკაშვილმა გადასცეს.

სერტიფიკატების გადაცემამდე ლევან იზორი-

ამ პოლიციელებს, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, სამინისტროს გეგმები გააცნო. მისივე თქმით, უწყება ძალადობის პრევენციის ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობს და საზოგადოების წინაშე მალე წარსდგება.

ტრენინგი პროექტის, “თემთა მობილიზება ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით” ფარგლებში ჩატარდა, მას “ქალთა საინფორმაციო ცენტრი”, კახეთის რეგიონული განვითარების ფონდთან ერთად, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

ტრენინგი დუისში სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის

“ქალთა საინფორმაციო ცენტრმა” სოფელ დუისში, სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ტრენინგი ჩაატარა. ტრენინგი ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობას, ბავშვთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობას შეეხებოდა.

შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე, მიმოიხილეს ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა. მათ მიეწოდათ ინფორმაცია არსებული რეგულაციების შესახებ.

შეხვედრა პროექტის, “თემთა მობილიზება ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით” ფარგლებში ჩატარდა, მას “ქალთა საინფორმაციო ცენტრი”, კახეთის რეგიონული განვითარების ფონდთან ერთად, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.



ლექცია-დისკუსიები ახალგაზრდებთან ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ

“საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბი” “He For She”-ს კამპანიის ფარგლებში, 19 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე, ქალთა პოლიტიკური ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს არასამთავრობო ორგანიზაცია გენდერული სამართლიანობის ხელმძღვანელმა, რუსუდან კერვალიშვილმა და, ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელმა, მათა გრძელიშვილმა, რომლებიც წარმოადგენდნენ სამუშაო ჯგუფს - “ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში”.

რა არის გენდერული კვოტა, რა ტიპის ინსტიტუციური მექანიზმები არსებობს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, რა საერთაშორისო ვალდებულებები და რეკომენდაციები აქვს საქართველოს მიღებული - ეს ის ძირითადი თემებია, რაზეც მომხსენებლებმა ისაუბრეს. ახალგაზრდებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას საქმიანობს სამუშაო ჯგუფი - ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში, ვინ არიან მისი წევრები და რა დგას ჯგუფის დღის წესრიგში.

შეხვედრა ინტერაქტიული სახის იყო და მას საინტერესო დისკუსია მოჰყვა.

ახალგაზრდებს აინტერესებთ, რამდენად მზადაა საზოგადოება გენდერული თანასწორობისთვის



და რა საკანონმდებლო ცვლილებები მზადდება ამ კუთხით.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა და მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. აღსანიშნავია მათი მოტივაცია და ინტერესი აღნიშნული თემებისადმი ცნობიერების ამაღლებისათვის.

ქალთა მიმართ ძალადობა

კვლევა: პანკისის ხეობის მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლა სხვადასხვა სოციალური პრობლემების მიმართ



„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, პანკისის ხეობაში კვლევა ჩაატარა. მისი მიზანი, გენდერული თანასწორობის ასპექტებისა და ქალთა სოციალური როლის შესახებ, ინფორმაციის მოგროვება იყო.

კითხვარი სპეციალისტებმა აღნიშნული დებულებების მიხედვით შეადგინეს.

კვლევა პროექტის, „თემთა მობილიზება ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით“ ფარგლებში ჩატარდა, მას „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, კახეთის რეგიონული განვითარების ფონდთან ერთად, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

კვლევა საქსუალური შევიწროვების შესახებ საზოგადოებრივ ტრანსპორტში



„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, 2014 წლის 7 ნოემბერს, თბილისის მეტროში სექსუალური შევიწროვების (ჰარასმენტის) შესახებ კვლევის პრეზენტაცია გამართა. დოკუმენტი ამ კუთხით არსებულ ფაქტებს, ტენდენციებსა და მათ აღმოსაფხვრელად შემუშავებულ რეკომენდაციას მოიცავს.

კვლევა თბილისის 14 მეტროსადგურში ჩატარდა. გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ მეტროთი მოსარგებლეთა 45% გამხდარა სექსუალური შევიწროვების მსხვერპლი. დოკუმენტში, გამოკითხულთა გარდა, შესულია ქალთა უფლებებსა და ქალთა მიმართ ძალადობის

საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჩატარებული კითხვარების ანალიზი.

ღონისძიების პრეზენტაციას არსამთავრობო და სამთავრობო სექტორი ესწრებოდა. შეხვედრის შემდეგ დისკუსიაც გაიმართა, სადაც ხაზი გაესვა კვლევის მნიშვნელობას და საზოგადოებრივ ტრანსპორტში არსებული სექსუალური შევიწროვების ფაქტების წინააღმდეგ აქტიური მუშაობის აუცილებლობას.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ აღნიშნული კვლევა, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, აზიის განვითარების ბანკის ხელშეწყობით ჩაატარა.

შეხვედრა ოპოზიციასთან ქალთა მკვლევლობაზე



სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა, თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად, მორიგი საჯარო დებატები გამართა. დისკუსიაში, რომელიც ქალთა მკვლევლობებსა და ძალადობის ახალ ტენდენციას ეხებოდა, მონაწილეობა სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა მიიღეს. შეხვედრის მოდერატორობას გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი, თამარ საბუდაშვილი ახორციელებდა.

შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს 2014 წლის ბოლო სტატისტიკაზე რომლის თანახმადაც, იანვრიდან-აგვისტოს პერიოდში საქართველოში 14 ქალი მოკლეს. საუბარი მისის თვისებებზე, როდესაც ქალთა სამი მკვლევლობა დაფიქსირდა. შეხვედრისას „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელმა იმ რეკომენდაციაზე ისაუბრა, რომლის მიხედვითაც, მსგავსი ტიპის მკვლევლობებისათვის, ფემიციდის კატეგორიის მინიჭება უნდა მოხდეს. მან ასევე მოუ-

წოდა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, გააკეთონ საჯარო განცხადებები და დაგმონ ძალადობა, რადგან პრევენციისათვის მათი გამოსვლები მნიშვნელოვანია.

თეა წულუკიანი შეხვედრისას სახელმწიფოს როლზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი მთავარი ამოცანაა, ქალისა და კაცის წინააღმდეგ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაული სწრაფად და ეფექტურად გამოძიება. მინისტრმა ასევე საგამომიებო პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებსა და მათი გამოსწორების გზებზეც გაამახვილა ყურადღება.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, დისკუსიის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული არაერთი კამპანიის, საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარანტიების შექმნისა და ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაციის მიუხედავად, ოჯახსა და ქალთა მიმართ ძალადობის მაჩვენებელი კვლავ საგანგაშო რჩება და სახელმწიფოს მხრიდან მკვეთრი რეაგირებაა საჭირო.

ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფო სტრატეგია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის პრეზენტაცია გამართა. სამუშაო ვერსიის განხილვას, რომელიც ლევან იზორიამ წარადგინა, ესწრებოდნენ მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, არასამთავრობო სექტორი, მათ შორის ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი და ოჯახში ძალადობის მიმართულების კოორდინატორი.

როგორც ლევან იზორიამ პრეზენტაციისას აღნიშნა, ძალადობასთან ბრძოლა მხოლოდ პოლიციური რესურსის გამოყენებით რთულია და მისივე განმარტებით, აუცილებელია ძალადობის გამომწვევი მიზეზების ანალიზი.

ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, სახელმწიფოს მზაობაა, უპასუხოს საზოგადოებაში არსებულ გამოწვევებს. ლევან იზორიას თქმით, სტრატეგიას ყველა ის მიმართულება აქვს მოცული, რომელიც საზოგადოებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია.

აღსანიშნავია, რომ ეს ეროვნული სტრატეგიული გეგმის პირველი განხილვა იყო და არასამთავრობო სექტორს აქვს ვადა, რათა სახელმწიფოს წარუდგინოს რეკომენდაციები. აღნიშნულ პროცესში აქტიურად არის ჩართული ქალთა საინფორმაციო ცენტრიც.

ქალთა მიმართ ძალადობა

წარმატებით დასრულებული ჟეისები

ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ მისი პროექტების ფარგლებში ახორციელებს იურიდიულ კონსულტაციებს როგორც სატელეფონო და ონლაინ, ასევე პირისპირ ფორმატში. ორგანიზაციის თანამშრომლები რეგიონებში ჩადიან და მოსახლეობის პრობლემების შესწავლის მიზნით, ადგილზე, პირადად ხვდებიან მათ.

2014 წლის სექტემბერი-დეკემბრის თვეში „ქალთა საინფორმაციო ცენტრს“ ოჯახში ძალადობის პრობლემაზე 22-მა ბენეფიციარმა მიმართა, რომელთაც პირისპირ გაეწიათ კონსულტაცია. აღნიშნული შემთხვევების გადასაჭრელად ორგანიზაციამ ითანამშრომლა როგორც არასამთავრობო, ასევე სამთავრობო უწყებებთან. თანამშრომლობა შედგა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთანაც. შემთხვევების მოსაგვარებლად კორესპონდენციები გაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სოციალური მომსახურების სააგენტოში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატში. ბენეფიციარები, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის დახმარების მიზნით, გადამისამართდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში. „ქალთა საინფორმაციო

ცენტრის“ შუამდგომლობით მოხდა თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაცია „ამაგდართან“, რის შედეგადაც მოხერხდა ერთ-ერთი ბენეფიციარის დასაქმების პროგრამაში ჩართვა. ორგანიზაცია ასევე თანამშრომლობს ორგანიზაცია „სახლსა“ და „ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან“.

აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა 42 ონლაინ კონსულტაცია. კითხვების უმეტესი ნაწილი ეხებოდა განქორწინების, ალიმენტის დანიშვნისა და ქონებრივი დავის გადაწყვეტის საკითხებს.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ იურისტი გასცემს სატელეფონო კონსულტაციებისაც, ძირითადად ოჯახში ძალადობის ფაქტებზე.

2014 წლის სექტემბერ-დეკემბრის თვეში კონსულტაცია გაეწია 25 დაინტერესებულ მოქალაქეს. ბენეფიციარების უმრავლესობა პირველად კონსულტაციას იღებენ ორგანიზაციის იურისტისგან და აუცილებლობის და შესაძლებლობის შემთხვევაში პირადად სტუმრობენ ორგანიზაციას.

სულ, ამ პერიოდისთვის, გაწეული იქნა 89 კონსულტაცია, მათ შორის ოჯახში ძალადობის ფაქტებზეც.

საჯარო ლექციების ციკლი



„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ ოჯახში ძალადობის თემაზე და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით, მართავს საჯარო ლექციათა ციკლს. ღონისძიება წიგნის სახლ „ბუქსითიში“ ტარდება და მას ქართველი მწერლები კითხულობენ.

ჩატარებული ლექციები ეხებოდა ადათ-წესებსა და ტრადიციებს, კულტურასა და გენდერულ პარალელებს ამიერკავკასიასა და თურქეთში, რაც დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, მომხსენებლები დამსწრეებს ცნობილი ქალი მწერლების, მათი ისტორიებისა და ხედვების, ასევე ნაწარმოებების შესახებაც ესაუბრნენ.

საუბარი ასევე ეხება იმ დაბრკოლებებს, რომლებიც საქართველოში საბჭოთა კავშირის პერიოდში მოღვაწე ქალებს ექმნებოდათ.

საჯარო ლექციათა ციკლი პროექტის, „თემთა მობილიზება ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით“ ფარგლებში ჩატარდა, მას „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, კახეთის რეგიონული განვითარების ფონდთან ერთად, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

ტრენინგი საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის

27-29 ნოემბერს, 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, საჩხერეში სასტუმრო „მედიკაუსში“ „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ გენდერული თანასწორობის შესახებ ერთობლივი ტრენინგი ჩატარა. მასში მონაწილეობა მიიღეს საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

ტრენინგს გენდერული თანასწორობის საკითხებში ექსპერტები, ირინა ჟვანია და მამუკა გაჩეჩილაძე უძღვებოდნენ. ისინი მონაწილეებს ისეთი საკითხების შესახებ ესაუბრნენ, როგორცაა გენდერის როლზე და ძირითადი ცნებები, გენდერული როლები და არ-

სებულ სტერეოტიპებთან ბრძოლა.

ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში ექსპერტმა ალექსანდრე სვანიშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობისა და საჯარო სამსახურში შესარჩევი კონკურსის შესახებ, ასევე, საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ისაუბრა.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა გაძლიერება და გენდერული თანასწორობისადმი მათი ცნობიერების გაზრდა, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია.

სპორტული და კულტურული ღონისძიება



30 ივლისს, „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, პანკისის ხეობის სოფელ დუისში შაშსა და ნარდში, ადგილობრივ ქალებს შორის შეხვედრა გამართა.

ასპარეზის ყველაზე პატარა მონაწილე კვლავ 18 წლის ჟანა დადაევა იყო, რომელმაც ამავე წლის ივნისში, დუისში გამართულ მაგიდის ჩოგბურთშიც მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებულები მედლებითა და სიმბოლური საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. აღნიშნული ღონისძიებები, ქალთა საზოგადოებრივი აქტივობის გაზრდას ემსახურება.

შეჯიბრის დასრულების შემდეგ, ადგილობრივი ბავშვთა ანსამბლის მონაწილეობით, ფოლკლორული კონცერტი გაიმართა. მის დაწყებამდე შეჯიბრის გამარჯვებულებსა და მონაწილეებს, სიმბოლური საჩუქრები და ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის სლოგანით გაფორმებული მაისურები გადაეცათ.

ღონისძიებები ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის, „თემთა მობილიზება საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით, ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის“ ფარგლებში ჩატარდა.

პანკისელ ქალთა შორის ჯირითი ლოპობაზე

„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, ლოპობას დასასვენებელ კომპლექსში, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ და ქალთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვის მიზნით, ცხენებით შეჯიბრი მოაწყო, რომელშიც ძირითადად, პანკისელი ქალები მონაწილეობდნენ.

შეჯიბრს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ლევან იზორია და პოლიციის აკადემიის წარმომადგენელი, ნოდარ სააკაშვილიც დაესწრნენ. მონაწილეები და გამარჯვებულები ლევან იზორიამ და „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორმა, ელენე რუსეცკიამ დააჯილდოვეს.

ჯირითი პროექტის, „თემთა მობილიზება ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით“ ფარგლებში ჩატარდა, მას „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, კახეთის რეგიონული განვითარების ფონდთან ერთად, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

ქალთა მობილიზება

შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთში

სოფელ დუისში, “ქალთა საინფორმაციო ცენტრმა” მაგიდის ჩოგბურთში სკოლის მოსწავლეებს შორის შეჯიბრი გამართა, რომელშიც დუისის, ჯოყოლოსა და ბირკიანის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ღონისძიება ქალთა მიმართ ძალადობას ეხებოდა. შეჯიბრში ორი გამარჯვებული გამოვლინდა. ერთი პრიზი კახეთის განვითარების ფონდს, მეორე კი - სოფელ დუისის სკოლას გადაეცა.

შეხვედრა პროექტის, “თემთა მობილიზება ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით” ფარგლებში ჩატარდა, მას “ქალთა საინფორმაციო ცენტრი”, კახეთის რეგიონული განვითარების ფონდთან ერთად, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.



ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ კუთხით ორგანიზაციის მუშაობის მიზანია, ხელი შევუწყოთ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის შესაძლებლობების გაძლიერებას, მათი ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის საკითხებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ, რომლებიც ქალებს, მშვიდობასა და უსაფრთხოებას ეხება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ეროვნული უმცირესობების ქალთა ჯგუფებისათვის ადამიანის უფლებების შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება და გადაწყვეტილების მიმღებებთან მათი ხმის მიწვდენა. „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ უზრუნველყოფს ქალთა საინფორმაციო მხარდაჭერას და, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით გამართული შეხვედრების საშუალებით, ხელს უწყობს მათ ჩართულობას ადვოკატირების პროცესში ადგილობრივ თვითმმართველობასთან. ამასთან, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ შეიმუშავებს და წარადგენს რეკომენდაციებს სამშვიდობო პროცესებში ქალთა მონაწილეობის შესახებ და აქტიურად არის ჩართული სახალხო დიპლომატიის ღონისძიებებში.

ტრენინგი ანაკლიაში

15-19 ივლისს, სასტუმრო “ანაკლიაში”, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დამიას თვითდახმარების ჯგუფების წარმომადგენლებისათვის, ტრენინგი ჩატარდა. მისი მიზანი სამიზნე ჯგუფებისათვის, CEDAW კომიტეტის რეკომენდაციების გაცნობა და ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო. ტრენინგში 15 სათემო მუშაკი მონაწილეობდა.

ტრენინგი “ქალთა საინფორმაციო ცენტრის” დირექტორმა, ელენე რუსეცკაიამ გახსნა, რომელმაც მიმოიხილა საქართველოს მიერ აღებული ისეთი საერთაშორისო ვალდებულებები, როგორცაა CEDAW კონვენციის მიღებისა და რატიფიცირების პროცესი, ხელმომწერი ქვეყნების მიერ აღებულ ვალდებულებები,

კონვენციით ტერმინ „დისკრიმინაციის“ განმარტება, საქართველოს მხრიდან კომიტეტში წარდგენილი ანგარიშები და ზოგადი რეკომენდაციები. განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმ რეკომენდაციებს, რომელიც იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების პრობლემებს ეხებოდა.

ტრენინგის მონაწილეებს CEDAW კომიტეტზე არასამთავრობო ორგანიზაციათა გამოსვლის, მათ მიერ მომზადებული რეკომენდაციებისა და მნიშვნელობის შესახებაც მიეწოდათ ინფორმაცია. მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ სესია გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის თემაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. გაიგეს უფრო მეტი გენდერსა და სქესს შორის განსხვავებაზე, ასევე ტერმინოლოგიაზე, ქალთა უფლებებზე, საერთაშო-



რისო და ადგილობრივ კანონმდებლობაზე, ლიდერ ქალებზე და სხვა.

სათემო ჯგუფების წარმომადგენლებმა ტრენინგისას, სოფლის პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს, ასევე გამოხატეს მზაობა, გაუზიარონ მიღებული ცოდნა სხვებს, რათა ყოველთვის იყვნენ დაცული უკანონობისაგან.

ტრენინგის შედეგად გაიზარდა მონაწილეთა ინფორმირებულობის დონე გენდერული თანასწორო-

ბისა და ქალთა უფლებების შესახებ, ასევე ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესახებ; ამდღა მონაწილეთა ცნობიერება სათემო მობილიზაციისა და მათი როლის შესახებ; გაიზარდა მონაწილეთა უნარ-ჩვევები თემის პრობლემების ადვოკატირების კუთხით.

ტრენინგი პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა.

ტრენინგი მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის

2 და 3 დეკემბერს, მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, გენდერული თანასწორობის შესახებ ტრენინგი ჩატარა.

ტრენინგს, რომელიც მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ჩატარდა, გენდერული თანასწორობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ექსპერტები ირინა ჟვანია და ალექსანდრე სვანიშვილი უძღვებოდნენ.

ტრენინგის პირველ დღეს მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს გენდერის რაობისა და ძირითადი ცნებების შესახებ, განიხილეს გენდერული როლები და არსებული სტერეოტიპები, ასევე ისაუბრეს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობისა და მიღწევის მექანიზმების შესახებ. ტრენინგის მეორე დღე კი ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობას დაეთმო.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ანა ფაშალიშვილმა, ქვემო ქართლში ეროვნული უმცირესობების ქალთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესახებ კვლევის შედეგები წარმოადგინა.

ტრენინგის მონაწილეებმა ის საკითხებიც განიხილეს, რისი მოგვარებაც, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, გამგეობის დონეზეა შესაძლებელი.

ტრენინგის მონაწილეები ადგილობრივი თვითმმართველობის შესარჩევი კონკურსისთვის ემზადებიან, სწორედ ამიტომ, მათთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ტრენინგის ის ნაწილი რომელიც კონკურსის შესახებ ინფორმაციას დაეთმო.

პროექტი „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის საქართველოში“ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ქალთა საინფორმაციო ცენტრსა და ფონდ ტასოსთან პარტნიორობით, ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭრით ხორციელდება. ის მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ეროვნული უმცირესობების ქალთა ჯგუფების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის მხარდაჭერასა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებას, საქართველოში გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების დაცვის მიზნით.

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

გაეროს №1325 რეზოლუციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შუალედური შეფასება



6 აგვისტოს, სასტუმრო “თბილისი მერიოტში”, “ქალთა საინფორმაციო ცენტრმა” არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმი გამართა. მისი მთავარი მიზანი, სამოქალაქო სექტორისათვის გაეროს #1325 რეზოლუციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შუალედური შეფასების გაცნობა იყო.

შეფასება გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით, მოწვეულმა ექსპერტმა, გიორგი შუბითიძემ გააკეთა. მან კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, შეხვედრის მონაწილეებს სკაიპის საშუალებით, ბრიუსელიდან გააცნო. შეხვედრაზე დისკუსიაც შედგა, ფორუმის მონაწილეებმა კვლევის

ავტორთან, კითხვების დასმის გარდა, საკუთარი მოსაზრებები და ინიციატივები წარადგინეს.

აღსანიშნავია, რომ კვლევაზე მუშაობისას, პოლიტიკოსებთან ერთად, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულებიც გამოიკითხნენ. მიღებული ანგარიში ხუთი ნაწილისაგან შედგება და შესასრულებელ, ნაწილობრივ შესრულებულ და შესრულებული ვალდებულებების ანალიზს მოიცავს. შეხვედრის დასრულებისას, “ქალთა საინფორმაციო ცენტრი”, პრემიერის აპარატში შექმნილ, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭოში, გენდერული საკითხებისადმი მიმართულ სამუშაო ჯგუფში, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლად იქნა არჩეული.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები ეროვნული გეგმის მეორე ფაზის შემუშავებისთვის; გაიჟღერა რეკომენდაციამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის ნორმების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინების შესახებ. მომდევნო სამუშაო შეხვედრისთვის ასოციაცია დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის “იმედის” თავმჯდომარე ქრისტინე კილანავა შეირჩა რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენლად.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

ტრენინგი რეზოლუცია 1325 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე სამინისტროების წარმომადგენლებისთვის

15-19 ოქტომბერს ქალთა საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით გუდაურში, ტრენინგი იმ სამინისტროების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა, ვის უშუალო ვალდებულებასაც წარმოადგენს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე (2000) და მისი შესრულების მიზნით შემუშავებული 2012-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ტრენინგი მიზნად ისახავდა მონაწილეები სიღრმისეულად გაცნობოდნენ რეზოლუცია 1325 ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე და მის განსახორციელებლად შემუშავებული 2012-2015 სამოქმედო გეგმით დაკისრებულ ვალდებულებებს. ამავდროულად მათ აიმაღლეს კომპეტენცია და გაიღრმავეს ცოდნა გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ და მათ მნიშვნელობაზე სამშვიდობო პროცესების განხილვისას.

ტრენინგის შედეგად სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლებს ხელი შეეწყობა ურთიერთანამ-

შრომლობის საფუძველზე დაგეგმონ ერთობლივი ღონისძიებები სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების წარმატებით განხორციელებისთვის.

დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი ექირა ინციდენტის პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მუშაობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, რადგან სწორედ შეხვედრების ამ ფორმატში განიხილება კონფლიქტისპირა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებები.

გამომდინარე იქიდან, რომ EUMM-ის მიერ ორგანიზებულ შეხვედრების პროცესში უშუალოდ ჩართულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რეინტეგრაციის სამინისტროს წარმომადგენლები, მნიშვნელოვანი იყო მათი ტრენინგში მონაწილეობა და აღნიშნულ შეხვედრების გამოცდილების გაზიარება.

ტრენინგის შედეგად გამოიკვეთა სამინისტროებს შორის ურთიერთანამშრომლობა და ყოფითი პრობ-

ლემების გადაჭრის გზებზე ერთობლივი მუშაობა. “ქალთა საინფორმაციო ცენტრი” სამოქმედო გეგმის განახლებისთანავე კიდევ ერთ ტრენინგს ჩაატარებს აღნიშნული სამინისტროების წარმომადგენლებისთვის.

იუსტიციის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანამშრომლობის სამინისტროს წარმომადგენლებმა ცნობიერება აიმაღლეს საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობისა და მისი ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობის, ასევე გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების, სტერეოტიპების არსებობის, წარმოშობისა და მათი ზეგავლენის შესახებ.

ტრენინგი განხორციელდა პროექტის სამოქმედო გეგმით წინასწარ განსაზღვრული მიზნის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ქალების ჩართულო-



ბასა და მონაწილეობას სამშვიდობო და კონფლიქტის პრევენციის პროცესებში.

ტრენინგი პროექტის „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისთვის“ ფარგლებში ჩატარდა, რომელიც ამერიკის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ხორციელდება.

“ქალთა საინფორმაციო ცენტრი” IPRM შეხვედრებზე

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ დადებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6-პუნქტიანი შეთანხმების შესაბამისად, მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში, მხარეები ვალდებული არიან თავიდან აიცილონ და საჭიროების შემთხვევაში აღკვეთონ ისეთი შემთხვევები, რაც საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობას და გააუარესებს ადგილზე არსებულ მდგომარეობას.

სოფელი ერგნეთი თვეში ერთხელ რეგულარულ სამშვიდობო შეხვედრებს მასპინძლობს სადაც ქართული, ოსური და რუსული მხარე, საერთაშორისო დამკვირვებლების თანხლებით, სასაზღვრო ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებსა თუ პრობლემებზე სასაუბროდ იკრიბება.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ჟურნალისტი ამ შეხვედრებს ადგილზე ესწრება და ინფორმაციის შეხვედრის შემდეგ გამოსული მხარეთა წარმომადგენლებისგან იღებს. ასევე, ჩვენი ორგანიზაცია ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამართულ შეხვედრებში, რომელსაც EUMM უკეთებს ორგანიზებას და მათ გამოიკვეთილ პრობლემებს აცნობს.

20 ნოემბერს შერატონ მეტეხი პალასში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) მონაწილე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების და არასამთავრობო ორგანიზაციების საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, სადაც მხარეებმა ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლში მცხოვრე-



ბი მოსახლეობის პრობლემების შესახებ ისაუბრეს.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე კონკრეტული ადამიანების ბედი წყდება, შესაბამისად, ამ პროცესებში ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი და ჩართულობა გადამწყვეტია. სწორედ ამიტომ, ადამიანის უფლებების დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა საჭირო ადრესატამდე უნდა მიიტანონ „მესიჯები“. შეხვედრაზე საუბარი შეეხო IPRM-ის ფორმატში ცხელი ხაზის მუშაობას, სადაც გროვდება ინფორმაცია სასაზღვრო ზოლში მიმდინარე პროცესების შესახებ.

13 ნოემბერს “ქალთა საინფორმაციო ცენტრი” მონაწილეობდა შეხვედრაში, რომლის მიზანი იყო მომზადება და იმ კონკრეტულ საკითხებზე ჩამოყალიბება, რომელიც უნდა წარდგენილიყო IPRM ფორმატის მონაწილეთათვის. გამოიკვეთა ოთხი ძირითადი საკითხი: უსაფრთხოება, სახალხო დიპლომატიის შეხვედრები; ე. წ. საზღვრისპირა სოფლების საჭიროებების შემსწავლელი კომისიის შექმნა; ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

ღია კარის დღე

„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ მონაწილეობა მიიღო ღია კარის დღის ღონისძიებაში, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციამ გაეროს 1325 რეზოლუციის ფარგლებში, მოაწყო. შეხვედრა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების თემას ეხებოდა და მასში მონაწილეობას, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის გარდა, ხელისუფლების წარმომადგენლებიც იღებდნენ.

ღონისძიებას პარლამენტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარე და ვიცე-სპიკერი, მანანა კობახიძეც დაესწო. მან ყურადღება კონფლიქტის მოგვარების პროცესში ქალის როლზე და იმ პრობლემებზე გაამახვილა, რომელიც განსაკუთრებით ქალებს ატყდებოდათ თავს.

ღონისძიებაზე მოხსენებით გამოვიდა ელენე რუსეცკაიაც. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის თემასა

და ქალთა როლზე, ქალთა საინფორმაციო ცენტრი, წლებია, მუშაობს. მომხსენებელმა ჩვენთან საუბარში ყურადღება შენევის მოლაპარაკების ფორმატზე გაამახვილა.

ღონისძიებაში მონაწილეობას კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები ქალებიც იღებენ. მარიამ ბუჩუკური წლებია დაზარალებულ ქალთა საჭიროებებზე მუშაობს. მისი მოხსენება საჭიროებებთან ერთად რეკომენდაციებსაც ეხებოდა.

რეზოლუცია #1325 გაერომ 2000 წელს შეიმუშავა. სამოქმედო გეგმა კი საქართველოს პარლამენტმა, 2011 წელს დაამტკიცა. სამოქმედო გეგმა სამშვიდობო პროცესებში, ომის დროს დაზარალებულ ქალთა და გოგონათა მონაწილეობას ეხება. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმა გაეროს წევრ 44 ქვეყანაშია დამტკიცებული.

თემთა მობილიზაცია და ქალთა გაძლიერება

სოციალური მედიის ტრენინგი კოალიციის წევრთათვის



2014 წლის 1-3 ივლისს, „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ კოალიცია „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისათვის“ წევრებს ტრენინგი ჩაუტარა.

ტრენინგი მოიცავდა კოალიციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედიაადვოკატირების სტრატეგიას. სამდღიანი ტრენინგის ფარგლებში, მონაწილეებმა შეიმუშავეს კოალიციის პიარკამპანის სტრატეგია, გამოკვეთეს მათი პრობლემები და დასახეს პრიორიტეტები ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მიმართულებით. ტრენინგის განმავლობაში შემუშავდა კოალიციის სამომავლო გეგმები და ერთობლივი ინიციატივები. ამასთან, მისი წევრები გაეცნენ ალტერნატიულ ანგარიშს, რომელიც CEDAW კომიტეტთან წარსადგენად მომზადდა.

ტრენინგის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები, რომლებიც „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ და კოალიციამ „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“

ერთობლივად ჩაატარა. შეხვედრის ფარგლებში მოხდა კოალიციის პრეზენტაცია ადგილობრივ დონეზე და ფართო საზოგადოებას მათი საქმიანობაზე წარედგინათ.

აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდა პროექტ „გენდერული სამართლიანობა ქალთა პოლიტიკური თანამონაწილეობის გაძლიერების გზით“ მეორე ეტაპის ფარგლებში. აღნიშნულ პროექტს „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ ბრიტანულ საქველმოქმედო ორგანიზაცია - OXFAM-თან თანამშრომლობით ახორციელებს და მისი მიზანია, მხარი დაუჭიროს ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებას გენდერული თანასწორობის კუთხით, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე.

ტრენინგი ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM-ის მხარდაჭერით შედგა.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

საგანმანათლებლო ტრენინგების ციკლი ქალთა უფლებების შესახებ

4, 5, 6, 11 და 12 აგვისტოს, "ქალთა საინფორმაციო ცენტრმა", ფონდ "ტასოსთან პარტნიორობით ქალთა უფლებებზე ტრენინგი ჩაატარა,

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისჯვარში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო შუქრუთში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მადაროსკარში ქალთა უფლებების შესახებ საგანმანათლებლო ტრენინგების ციკლი - სახელწოდებით „ქალის უფლებები - დასავლური და ქართული მაგალითები“ ჩაუტარდა.

პროექტის სამიზნე რეგიონებში შერჩეული თვითდახმარების ჯგუფების წარმომადგენლებმა ინფორმაცია მიიღეს საქართველოს ისტორიაში ქალთა უფლებების დაცვისთვის გადადგმულ ნაბიჯებზე, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის შესახებ, ასევე განიხილეს დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმები და მათი აღმოფხვრის გზები.



ტრენინგი პროექტ „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში შექმნილი 15 თვითდახმარების ჯგუფის წევრებისთვის გაიმართა.

საზაფხულო ბანაკი სოფლად მცხოვრები ქალებისათვის

29 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით, სოფლად მცხოვრები ქალებისათვის, საზაფხულო სამშვიდობო ბანაკი გაიმართა. საზაფხულო ბანაკი მიზნად ისახავდა პროექტის სამიზნე რეგიონებში შერჩეული სათემო მუშაკებისა და თვითდახმარების ჯგუფების ლიდერების გაძლიერებასა და გადამზადებას როგორც ლიდერობის, ასევე კომუნიკაციის, გენდერული თანასწორობისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესახებ.

წყალი, გაზი, გზა, საბავშვო ბაღები - ეს იმ ძირითად პრობლემათა მოკლე ჩამონათვალია, რაც სხვადასხვა სამიზნე რეგიონში მცხოვრებ ქალებს აწუხებთ. მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთისა და გალის რაიონის წარმომადგენლებმა მათ თემში არსებული პრობლემები და პროექტის ფარგლებში მათი გადაჭრის გზებიც განიხილეს.

ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებებისა და არსებული საკანონმდებლო ბაზის შესახებ, ასევე აიმაღლეს კომპეტენცია ლიდერი ქალისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შესაძენად.

საზაფხულო ბანაკის ფარგლებში, დოკუმენტური

ფილმების ჩვენებაც გაიმართა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის, პოლიტიკური ჩართულობის და სამშვიდობო პროცესებში შესრულებული როლს შეეხებოდა.

ბანაკი პროექტის, „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში ჩატარდა, რომელიც USAID-ის ფარგლებში ხორციელდება.



ქალთა და ახალგაზრდობათა საკითხების სალექციო კურსი დუისში

15 სექტემბერს, პანკისის ხეობის სოფელ დუისში, „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, საჯარო ლექცია გამართა. ლექცია ქალთა და ახალგაზრდათა საკითხებს შეეხებოდა.

დიპლომატია, დიპლომატიის დონეები (სახელმწიფოთაშორისი, მუნიციპალიტეტთა ან უნივერსიტეტთაშორისი, სამხედრო დიპლომატია და სხვა), სტრატეგიული დაგეგმარების მნიშვნელობა (სკოლების, უნივერსიტეტების დონეზე მუშაობის პროცესში და ა.შ.), პრობლემათა გადაჭრის გზები - აღნიშნულ თემები გაჟღერდა ლექციაზე, რომელსაც ადგილობრივები ესწრებოდნენ. შეხვედრის მონაწილეებს მათი ყოველდღიური ცხოვრების მაგალითებზე უნდა აეხსნათ, თუ როგორ უნდა დაეყონ პრობლემური საკითხი მცირე პრობლემად და როგორ გადაჭრან ისინი ეტაპობრივად.

შეხვედრა დუისში „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ, პროექტის „ქალები და ახალგაზრდები პანკისის ხეობაში“ ჩატარდა, რომელიც აშშ-ს საელჩოს საგრანტო პროგრამით ფინანსდება.



შეხვედრა ლელიანში ადგილობრივ ხელისუფლებასთან

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

სასმელი წყლის, გაზიფიკაციისა თუ ელექტროენერჯის პრობლემა, გზების რეაბილიტაცია, სამგზავრო ტრანსპორტის ღირებულების რეგულირება, ნაგვის ურნების საჭიროება და ზამთარში შემთხვევით მომარაგების საკითხი, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, წვდომა ინტერნეტზე, ახალგაზრდების სპორტულ თუ კულტურულ აქტივობებში ჩართვა - ეს მცირე ნაწილია იმ პრობლემებისა რაც პროექტის, „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში, კახეთის რაიონში შექმნილი



თვითდახმარების ჯგუფებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს გააცნეს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელი ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში, 24 ოქტომბერს, ადგილობრივ თვითმმართველობასა და ლელიანი-ბაღლოჯიანის თვითდახმარების ჯგუფებს შორის გამართულ შეხვედრაზე, ქალები ხელისუფლების წარმომადგენლებს მათ თემში არსებულ პრობლემებზე ესაუბრნენ.

თვითდახმარების ჯგუფების წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმითაც დაინტერესდნენ და ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩართვის სურვილიც გამოთქვეს. მოსახლეობა ითხოვს კრებების ჩატარებას სიახლეების გასაცნობად, სოფლის პროგრამების განსახილველად და პრიორიტეტების დასაგეგმად.

2014 წელს ზაფხულში, მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე, თვითდახმარების ჯგუფებმა ის ძირითადი პრობლემები გამოავლინეს, რისი მოგვარებაც ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობითა თუ ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან კოორდინირებითაა შესაძლებელი.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება პროექტოვანი პრეზენტაციის

2014 წლის ოქტომბერში, ერევანში ტრენერთა გადამზადების ტრენინგი - „კავკასიელ ქალთა როლის გაძლიერება - ადვოკატირების და ლიდერობის უნარების განვითარება“ ჩატარდა. ტრენინგი ქალთა „საინფორმაციო ცენტრის“ მხარდაჭერით, „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის“ მიერ იყო ორგანიზებული და მას მოწვეულ ტრენერი, სილვა ბეზირიანი უძღვებოდა.

ლონისძიებაში მონაწილეობდნენ ლიდერი ქალები აფხაზეთიდან, ცხინვლიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან. ტრენინგის მიზანია მომზადდნენ მომავალი ტრენერები, იმისათვის, რომ შეძლონ ქალთა როლის გაძლიერება როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ მმართველობაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით პრიორიტეტული კონფლიქტის ზონაში, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მცხოვრები მოსახლეობა, იმისათვის რომ თავიანთ თემებში.

პროექტის „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისთვის“ ფარგლებში ქალთა საინფორმაციო ცენტრი ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტთან ერთად ახორციელებს ერთერთ საკვანძო კომპონენტს, რომლის ამოცანებია დიალოგისა და ნდობის აღდგენის შესაძლებლობების



გაზრდა, ოფიციალურ სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესებში ქალთა მონაწილეობის წახალისება და მათი ინტერესების გათვალისწინება.

სოფლად მცხოვრები ქალების დღე

ზუგდიდის სამხატვრო გალერეაში, სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართა. გაეროს ქალთა ორგანიზაციამ პარტნიორ ორგანიზაციებთან, ფონდ „ტასოს“ და „ქალთა საინფორმაციო ცენტრთან“ ერთად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ ლიდერ ქალებს დღესასწაული მიულოცა. მათ საჩუქრები სპეციალურად მოწვეულმა სტუმარმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა თამარ კორძაიამ გადასცა.

შეხვედრაზე მოწვეული იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლაშა გოგია. ქალებს, სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა ფონდი „ტასოს“ წარმომადგენელმა ცისანა გოდერძიშვილმა.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორმა ელენე რუსეცკიმ, პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ ფარგლებში მიღწეულ შედეგებზე გაამახვილა ყურადღება.

გამოვლინდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელებული საუკეთესო მცირე საგრანტო პროექტი. ღონისძიებაზე დაჯილდოვდა ირუზა კაკავა,

მაია ფიფია, ციციხო ბიბლაია, ნინო ყორშია, მათ განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს თემის განვითარებასა და წინსვლაში.

ნომინაციაში „საუკეთესო საჯარო მოხელე მუნიციპალიტეტში ქალთა საკითხების მხარდაჭერისთვის“ დაჯილდოვდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური განყოფილების უფროსი, გოგი რვეია.

დღის მნიშვნელობასა და სოფლად მცხოვრებ ქალთა უდიდეს ღვაწლზე ქვეყნის წინაშე, ისაუბრეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა თამარ საბედაშვილმა და თამარ თავართქილაძემ.

ორგანიზატორები იმედოვნებენ რომ მსგავსი ღონისძიებები მომავალში აუცილებლად უნდა ჩატარდეს სხვა სოფლებშიც, ეს საზოგადოებისთვის კარგი მაგალითი გახდება და უდიდესი სტიმულის მომცემი იქნება სოფლად მცხოვრები ქალებისთვის. პროექტი „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“, გაეროს ქალთა ფონდის მიერ, „ქალთა საინფორმაციო ცენტრისა“ და ფონდ „ტასოსთან“ პარტნიორობით ხორციელდება.

თემთა მობილიზაცია და ქალთა გაძლიერება

გენერული მენეჯერიმინგი ბიუჯეტირებისას

8-22 სექტემბერს, “ქალთა საინფორმაციო ცენტრმა”, გენდერული ბიუჯეტირების საკითხში ტრენინგი ჩაატარა. ტრენინგი უშუალოდ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, ასევე, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისათვის მოეწყო და მას ავსტრიელი ექსპერტი, ელიზაბეთ კლაცერი უძღვებოდა.

ტრენინგის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირება, მისი კავშირი პროგრამულ ბიუჯეტირებასთან და პრაქტიკაში დანერგვა, გენდერული მენეჯერიმინგის სტრატეგია, საერთაშორისო პრაქტიკა, კვლევები და სხვა. მონაწილეებმა ტრენინგის დროს დისკუსიაც გამართეს. ისინი განიხილავდნენ თემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს და იმ შესაძლო სირთულეებს, რომლებიც სამდღიანი მუშაობის შედეგად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელებას მოჰყვება.

ტრენინგის შედეგად გაიზარდა მონაწილეთა ინფორმირებულობის დონე გენდერული ბიუჯეტირების შესახებ; ამდღა მონაწილეთა ცნობიერება სამინისტროში გენდერული მენეჯერიმინგის შესახებ; გაიზარდა მონაწილეთა უნარ-ჩვევები ბიუჯეტის



შედეგისას გენდერული თანასწორობის გათვალისწინების კუთხით.

პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის საქართველოში“ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ, ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, “ქალთა საინფორმაციო ცენტრსა” და ფონდ ტასოსთან პარტნიორობით ხორციელდება. პროექტის მიზანია იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ეროვნული უმცირესობების ქალთა ჯგუფების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის მხარდაჭერა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება.

ბიზნეს-ტრენინგები მომავალი ქალი-მენეჯერებისათვის

სოფელ ლელიანსა და ტოლოში ქალი მეწარმეებისა და თვითდახმარების ჯგუფის წევრებისთვის ორდღიანი ბიზნესტრენინგი ჩატარდა. ის „ქალთა საინფორმაციო ცენტრისა“ და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა მონაწილეთა სამეწარმეო უნარების გაზრდა, მომავალში დსამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელებისათვის. ტრენინგი ლელიანში 23-მა, ხოლო ტოლოში 21-მა დაინტერესებულმა პირმა გაიარა. სემინარები ინტეგრირებული სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენებას ითვალისწინებდა.

თითოეულ სატრენინგო მოდულს ახლდა პრაქტიკული სავარჯიშოები, რომელზე ჯგუფურად ან ინდივიდუალურად მუშაობდნენ.

მონაწილეთათვის შემუშავდა სახელმძღვანელო ”ქალი ბიზნესში“ და სამუშაო წიგნი, რომელიც თეორიულ საკითხებთან ერთად მოიცავდა პრაქტიკულ სავარჯიშოებსაც, წარმოადგენილ მაგალითებს (ე.წ. ქეისებს) და მეწარმისთვის სასარგებლო ფორმებს და შაბლონებს. ტრენინგის შედეგად თითოეულმა მონაწილემ შეავსო ბიზნეს გეგმის შაბლონი და გადაეცათ ტრენინგის ”ქალი ბიზნესში“ მონაწილეობის სერტიფიკატები. ტრენინგების ციკლი 2015 წლიდან



გაგრძელდება და პროექტის ყველა სამიზნე რეგიონს მოიცავს.

ტრენინგები ტარდება პროექტის ”ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისთვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს - USAID-ის მხარდაჭერით, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან, ფონდ ”ტასოსთან“, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტთან და გალის რაიონში მოქმედ ორგანიზაციასთან პარტნიორობით.

ტრენინგები კოოპერატივების შესახებ

ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა იმ სახელმწიფო სტრუქტურებსა თუ სააგენტოებთან, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ. სწორედ ამიტომ „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან.

5 დეკემბერს, კახეთში, სოფელ ლელიანში, „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით სამიზნე რეგიონებში შექმნილი სათემო ჯგუფებისთვის ტრენინგი ჩაატარა. ქალები, რომლებიც ეკონომიკურ აქტიურობას გეგმავენ მნიშვნელოვანია იცოდნენ თუ რა როლს თამაშობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

შეხვედრას ინტერაქციული ხასიათი ჰქონდა. მონაწილეებს საშუალება მიეცათ, ამომწურავი პასუხები მიეღოთ მომხსენებლისგან იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს კოოპერატივი, რატომ არის სახელმწიფო დაინტერესებული მათი შექმნით, ასევე, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, რა ტიპის კოოპერატივების დაფუძნება იქნება წარმატებული.

მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს იმის შესახებაც, თუ როგორ შეუძლია კოოპერატივს ნაკლები და-



ნახარჯით მეტი მოგება მიიღოს.

სხვადასხვა ტიპის შედგავთებთან ერთად განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში დასაქმებულების უფასო სწავლება-გადამზადება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები, რომლებსაც სააგენტოსთან ერთად ევროკავშირის მიერ შერჩეული საერთაშორისო ორგანიზაციები განახორციელებენ. მსგავსი ტიპის შეხვედრები პროექტის დანარჩენ სამიზნე რეგიონებშიც იგეგმება.

შეხვედრა ტირძნისსა და კარალეთში

„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, შიდა ქართლის სოფლებში - კარალეთსა და ტირძნისში - რამდენიმე შეხვედრა გამართა. მისი მიზანი იყო კოალიცია „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“ საქმიანობის გაცნობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

შეხვედრებზე საუბარი შეეხო კოალიციის მიზნებს, მიღწევებს, სამომავლო გეგმებსა და მუშაობის პრინციპებს. მოსახლეობამ საკუთარ პრობლემებზეც ისაუბრა. აღსანიშნავია, რომ კოალიციის ერთ-ერთი მიზანი, ადგილზე არსებული პრობლემების მოგვარებაში წევრთა აქტიური ჩართვაა.

ღონისძიებებს „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ მოსახლეობას ორგანიზაციის პროექტები და საქმიანობა გააცნეს.

შეხვედრები პროექტ „გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური თანამონაწილეობის გზით“ ფარგლებში გაიმართა, რომელიც „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ, ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM-ის მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის მიზანია ინსტი-



ტუციური მექანიზმის გაძლიერების მხარდაჭერა გენდერული თანასწორობის კუთხით ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ასევე კოალიციის „ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“ განვითარების ხელშეწყობა.

გენდერული საინფორმაციო პოლიტიკა სამხრეთ-კავკასიის გენდერული საინფორმაციო ქსელი GINSC.NET



სამხრეთ კავკასიის საინფორმაციო გენდერული ქსელი, 2002 წლიდან მოქმედებს. საიტი სამეზობლიო (ქართული, რუსული, ინგლისური) და სამხრეთ კავკასიაში გენდერზე მომუშავე ერთადერთ პორტალს წარმოადგენს. გვერდზე ყოველდღიურად იდება გენდერულ თემატიკასთან დაკავშირებული ვიდეო სიუჟეტები, სტატიები, ახალი ამბები და სხვა.

გვერდს თვეში საშუალოდ 12 ათასი მომხმარებელი ჰყავს. აქ ქვეყნდება ყველა სახის ინფორმაცია სამხრეთ კავკასიიდან. მათ შორის, ისეთი პეტიციებიც, როგორებიცაა გენდერული კვოტირების, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის შესახებ, კონფლიქტისპირა რეგიონში მცხოვრები ქალებისადმი მიმართვა და სხვა.

აქტიურად მუშაობს ორგანიზაციის სოციალურ ქსელ “Facebook” გვერდიც. ამდროისათვის გვერდს 3000-მდე „LAKE” აქვს, სტატიების მკითხველთა სტატისტიკური მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

საიტზე განთავსებულია რუბრიკა „ექსკლუზივი“, სადაც უშუალოდ ორგანიზაციის მიერ მომზადებული სიუჟეტები და მასალები იდება. თემები, ძირითადად, შეეხება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას, მოწყვ-

ლად ქალთა ჯგუფების პრობლემებს (მარტოხელა დედებს, სოციალურად დაუცველ ქალებს, ახალგაზრდებს და სხვა), ოჯახში ძალადობას, გენდერული თანასწორობის იმპლიმენტაციას, ქალთა შრომით უფლებებს, უმცირესობათა უფლებების დაცვას, ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას, ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობოთა საქმიანობის წამოწევას, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკას, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ აქტივობას, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების გაშუქებას და სხვა.

ვიდეო და ტექსტუალური მასალები მოიცავს ყველა დონეს: მთავრობას, ხელისუფლებას, სამოქალაქო სექტორს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ბენეფიციარებს.

პორტალზე, ყოველთვიურად 9-10 ექსკლუზიური მასალა ქვეყნდება. საიტის ვიზიტორთა მთვლელისა და სოციალური ქსელის რეიტინგების თანახმად, თითოეულ მასალას, 3000-მდე მნახველი ჰყავს. პორტალის მხარდაჭერას შვედური ორგანიზაცია “Kvinna till Kvinna” ახორციელებს.

ქალთა საინფორმაციო ქსელი

ტელე და რადიოგადაცემები

“ქალთა საინფორმაციო ცენტრი” გენდერული ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს რეგიონებში აგრძელებს გადაცემათა ციკლს “გენდერი და საზოგადოება”. სექტემბრიდან, ტელეკომპანია “ბორჯომსა” და თელავის “თანამგზავრს”, ჭიათურის “იმერვიზიაც” დაემატა. გადაცემა ტელეეთერში ორ კვირაში ერთხელ გადის.

მიმდინარე პერიოდში მომზადდა სიუჟეტები “პირველი არხისა” და ტელეკომპანია “თანამგზავრის” ეთერში, ასევე, დაიწერა სტატიები ჟურნალ “ლიბერალში”.

“ქალთა საინფორმაციო ცენტრის” თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს რადიო “თავისუფლების,” ტელეკომპანია “ჯიდიესის” და საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემებში.



დოკუმენტური ფილმები

„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, გარდა სხვადასხვა მედიასაშუალებებთან თანამშრომლობისა, აქტიურად აშუქებს გენდერულ ამბებს. ივლისი-სექტემბრის პერიოდში, ექსკლუზიურ სიუჟეტებთან ერთად, რამდენიმე ფილმიც მომზადდა.

დოკუმენტური ფილმი, რომელიც 7 ივლისს, ქენევაში, CEDAW კომიტეტზე ქართული დელეგაციის გამოსვლას ეხება, დეტალურად მოგვითხრობს როგორც ოფიციალურ, ასევე, არაოფიციალურ ნაწილზე. ფილმში ასახულია კომიტეტში არასამთავრობო სექტორის მიერ ალტერნატიული ანგარიშის წარდგენის წარმატებული პროცესი.

კიდევ ერთი ფილმი, რომელიც ორგანიზაციის ჟურნალისტებმა მოამზადეს, „ქალთა გლობალურ ფონდს“ ეხება. ფილმში მოთხრობილია ფონდის ისტორია, მისი საქართველოში მცხოვრები ბენეფიციარები კი იმ შედეგებზე ჰყვებიან, რომლებსაც დონორის დახმარების შედეგად მიაღწიეს. ფილმი ქალთა გლობალური ფონდის საიუბილეო, 30 წლისთავს მიემძღვნა.

საქართველოში ბოლო პერიოდში გავრცელებული ძალადობა, ქალთა მკვლელობა, მისი გამომწვევი მიზეზები და ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან რეაგირება გახდა ინსპირაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მესამე ფილმისა, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობას ეხება. ფილმში, გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ქალთა მკვლელობების გამომწვევი მიზეზზე, პრევენციასა და ხელისუფლების როლზე საუბრობენ.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ დოკუმენტური ფილმების მომზადებას, მომავალშიც გეგმავს.


სკოლების პრობლემა წინაუბანსა და ქორეთში

„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ პროექტების ნაწილს პანკისის ხეობაში ახორცილებს. მათ შორისაა შვედური ორგანიზაცია “Kvinnor till Kvinna”-ს მიერ დაფინანსებული პროექტი “გენდერულად სენსიტიური ინფორმაცია გენდერული თანასწორობისათვის საქართველოში”, ასევე ევროკავშირის პროექტი, სახელწოდებით: „თემთა მობილიზება საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დონისძიებების გზით, ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის“. ორგანიზაციის სამიზნე სოფლებს შორის, წინაუბანი და ქორეთიცაა.

2014 წლის 10 ივლისს, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ სამიზნე სოფლებს სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ეწვია. სოფლის მცხოვრებლებს გაეწიათ იურიდიული კონსულტაცია და ასევე მიეცათ საშუალება, არსებული სოციალური პრობლემების შესახებ მოეთხროთ.

ადგილობრივთა პრობლემებს შორის, რომელთა შორის ნაწილი ქალთა უფლებებს შეეხებოდა, გამოიკვეთა ისეთი პრობლემა, როგორცაა განათლების საკითხი. წინაუბანსა და ქორეთში სკოლის ასაკის მოსწავლეებს არასრული საშუალო განათლების მიღება, შეუსაბამო პირობებში უწევთ. სკოლის შენობები ავარიულია, რაც მოსწავლეებს საფრთხეს უქმნის. ორივე სოფლის სკოლაში, ჯამში, 178 ბავშვი იღებს განათლებას, თუმცა არასრული სკოლის დასრულების შემდეგ, ბავშვები იძულებულნი არიან, სწავლა სოფელ დუისში გააგრძელონ.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლებში კონტინგენტი ყოველწლიურად იზრდება და მასწავლებლები სკოლების 9 წლამდე გაზრდას ითხოვენ, თუმცა უშედეგოდ.



პრობლემის გაცნობის შემდეგ, „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ მიმართა როგორც განათლების სამინისტროს, ასევე ადგილობრივ მუნიციპალიტეტს. არაერთი მცდელობის შემდეგ, უწყებაში განაცხადეს, რომ სოფელ ქორეთის სკოლის რეაბილიტაცია 2015 წელსაა დაგეგმილი, რაც შეეხება წინაუბნის სკოლას, მას საკუთარი შენობა არ აქვს. როგორც ცნობილია, სკოლისათვის შენობის გამოყოფის საკითხი, განათლების სამინისტროს 2015 წლის ბიუჯეტში უკვე გაიწერა.

თემთა მობილიზაცია და ქალთა გაძლიერება

შეხვედრა სოფელ წინწყაროში

სოფლად მცხოვრები დევნილებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მდგომარეობის უკეთ შესასწავლად, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროს ეწვია.

ორგანიზაციის წარმომადგენლები ადგილობრივ მაცხოვრებლებს შეხვდნენ და პრობლემების შესახებ გაესაუბრნენ. სოფლის მოსახლეობის თქმით, ერთ-ერთი პრობლემა სოფლის საბავშვო ბაღს უკავშირდება. აქ ბაღი რამდენიმე წლის წინ, ორსართულიანი სახლის შენობაში გაიხსნა. ბაღში, ამჟამად, 100-მდე ბავშვი დადის. ქვედა სართულზე ოთახების სიმცირის გამო კი მათი განთავსება რთულია. გარდა ამისა, ბაღის სამზარეულოში ჭერი დაზიანებულია, ცვივა ბათქაში, ზაფხულოში კი იატაკიდან ქვეწარმავლებისა და მღრღნელების შემოდგევის საფრთხე დგას. ასევე საპირფარეოებსა და სამზარეულოს არ მიეწოდება წყალი.

2013 წელს ბაღის შენობის მეორე სართულის აივანზე მიშენდა საპირფარეო, თუმცა გათვალისწინებულ არ იქნა წყლის სისტემის დამონტაჟება, რის გამოც გამოც



ბაღში მომუშავე პერსონალს უწევს სათლით მეორე სართულზე წყლის ზიდვა.

ორგანიზაციამ სკოლის საკითხი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთი ფანჯრის პრინციპით შეხვედრაზე დააყენა, სადაც ასევე განიხილა ის პრობლემური საკითხები, რომლებიც წინწყაროს თემში გამოვლინდა. ადგილობრივი თვითმმართველობიდან გამოითქვა პრობლემის მოგვარების მზაობა. პროცესს, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, მიმდინარეობისას დააკვირდება.

შეხვედრა ჩატარდა პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის საქართველოში“ ფარგლებში.

“ერთი ფანჯრის პრინციპით”

“ქალთა საინფორმაციო ცენტრი”, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად, 2010 წლიდან ახორციელებს პროექტს “ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის”. პროექტის მიზანია, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა პრობლემების გადაჭრის გზების მოსაძიებლად.

პროექტის ფარგლებში იმართება “ერთი ფანჯრის პრინციპის” საკონსულტაციო შეხვედრები, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ადგილობრივ თვითმმართველობაში გადაწყვეტილების მიმღები და პასუხისმგებელი პირები, მუნიციპალიტეტის მასშტა-

ბით, ერთ დღეს, ერთად იკრიბებიან და ისმენენ ყველა პრობლემას, რომელსაც ბენეფიციარები წარმოადგენენ. შეხვედრისას ერთობლივად ხდება პრობლემების გადაჭრის გზებზე ფიქრიც.

“ერთი ფანჯრის პრინციპის” მეთოდის მოხერხებულობისა და ეფექტურობიდან გამომდინარე, გადაწყვედა, დაინერგოს აღნიშნული მეთოდი სამთავრობო უწყებებში. “ქალთა საინფორმაციო ცენტრმა” მოწვეულ ექსპერტთან ერთად შეიმუშავა კონცეფცია, რომელიც მოიცავს პროექტის დასრულების შემდეგ მეთოდოლოგიის დანერგვას.

ადვოკატირება

“ერთი ფანჯრის პრინციპით” გუბდიდში



19 აგვისტოს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, “ქალთა საინფორმაციო ცენტრმა” გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად, პროექტის, “ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის” ფარგლებში, “ერთი ფანჯრის პრინციპით” საკონსულტაციო შეხვედრა გამართა. რომელიც მიზნად ისახავდა ზუგდიდის რაიონში მცხოვრები დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების განხილვასა და ადგილზე გადაწყვეტას.

შეხვედრას გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და “ქალთა საინფორმაციო ცენტრის” გარდა, ადგილობრივი თვითმმართველობის, სოციალური მომსახუ-

რების სააგენტოს, აფხაზეთის მთავრობისა და სხვა პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიების ფარგლებში ათი ბენეფიციარის შემთხვევა იქნა განხილული. მონაწილე უწყებების წარმომადგენლებმა ადგილზე გადაჭრეს სამი ბენეფიციარის პრობლემა.

პროექტი “ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის საქართველოში”, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ, “ქალთა საინფორმაციო ცენტრ-

სა” და ფონდ “ტასოსთან” პარტნიორობით, ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება. მისი მიზანია, იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ეროვნული უმცირესობების ქალთა ჯგუფების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის მხარდაჭერა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება, საქართველოში გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის მიზნით.

ტრენინგი ქალთა უფლებების ადვოკატირებაზე ყაზბეგში

15-16 სექტემბერს, ყაზბეგში გაიმართა სემინარი ქალთა უფლებების ადვოკატირების თაობაზე. ღონისძიება ქალთა შვედური ფონდის, „Kvinna till Kvinna“ ინიციატივით გაიმართა.

სემინარში ჩართულები იყვნენ ფონდის პარტნიორები საქართველოდან, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ქალთა უფლებებზე მუშაობენ. ღონისძიებაში მონაწილეობდა „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორი, ელენე რუსეცკაია და “Kvinna till Kvinna“-ს მიერ დაფინანსებული პროექტის, „გენდერულად სენსიტიური ინფორმაცია გენდერული თანასწორობისათვის საქართველოში“ კოორდინატორი, ნინო მოდებაძე.

სემინარი ეხებოდა ადვოკატირებას, ევროკავშირის პოლიტიკასა და მის სტრუქტურას. ტრენინგს ბელორუსიის წარმომადგენელი, ანტონინა ელისტრატოვა უძღვებოდა.

ღონისძიებაში მოწვეული ექსპერტების სახით, ჩართულები იყვნენ ევროკავშირის დელეგაციისა და

EUMM-ის წარმომადგენლები საქართველოში, ასევე ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმა. სემინარის მიმდინარეობისას საკუთარი პრეზენტაციები წარადგინეს. პრეზენტაცია მათი ორგანიზაციების მუშაობასა და ადვოკატირებას ეხებოდა. მოწვეულმა ექსპერტებმა ასევე წარმოადგინეს მეთოდი, რომლითაც ისინი ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებში ხელმძღვანელობენ.



7 ივლისი. გაეროს შტაბბინა, ჟენევა, შვეიცარია

ავტორი: მარიამ რობიტაშვილი

გაეროს შტაბ-ბინაში ეს ჩემი პირველი ვიზიტი არ ყოფილა. მანამდე ნიუ იორკში ქალთა სტატუსის კომისიის სესიას ვესწრებოდი ორჯერ. მაშინ მქონდა პირველი შოკი, როდესაც დიდი ქალაქში პირველი ამოგანა იყო სადმე არ დაკარგულიყავით და მიგვეგნო შეხვედრების იმ ოთახებისათვის, სადაც ჩვენთვის საინტერესო სესიები ტარდებოდა. არა, ოთახის მოძებნას ვინ ჩივის, მთავარია შენობა გვეპოვა. რაც მთავარია, ყველა ეს შენობა ერთმანეთთან რაღაც უცნაური „მანქანებით“ არის დაკავშირებული. ხიდები, ლიფტები, ესკალატორები თუ დიდი წვლების შემდეგ მაინც დაიმახსოვრე, რომელია ე.წ. North lawn building და შეხვედრასაც წარმატებულად დაესწარი, აი შემდეგ, მეორე სესიამდე გზის გაკვლევა არის ნამდვილი თავგადასავალი.

ნიუ იორკის სწრაფი ცხოვრების ტემპის შესახებ ყველას სმენია, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ეს სულაც არ ყოფილა მოგონილი ამბავი. მართალია, მეხუთე ავენიუს რომ გავცდი, მეგონა გაეროს შენობას შევაფარებდი თავს და იქ სიწყნარე დამხვედებოდა, მაგრამ მწარედ ვცდებოდი. 300-ზე მეტი ღონისძიება ტარდებოდა ორი კვირის განმავლობაში, შესაბამისად, ყველაფერი ერთმანეთს ემთხვეოდა და გადაწყვეტილებებიც სწრაფად უნდა მიგვეღო. რაღაც უცნაური ბედის წყალობით, თემატიკის მიხედვით შერჩეული შეხვედრები ერთმანეთისგან რადიკალურად დამორეზულ

ადგილებში ტარდებოდა, ასე რომ, ყოველ შემდეგ შეხვედრაზე მისწრება ნამდვილ მართონს ემსგავსებოდა.

ეს ყველაფერი ნიუ იორკში ხდებოდა. წინა ორი გამოცდილების შედეგად გამოწრთობილი, სასიამოვნოდ გაცეზებული დავრჩი ქენევაში თვითმფრინავის დაშვებისთანავე. აქ დიდად არავის ეჩქარება, ყოველ შემთხვევაში მოწესრიგებულად მაინც ჩქარობენ და შენც სულ არ გიპყრობს პანიკური შიში, რაც ნიუ იორკისთვის ჩვეულებრივი ამბავია და ნელ-ნელა ექსტრემალური სპორტის სახეობებივით გიზიდავს. გარდა იმისა, რომ იქ ცხოვრების სტილიც სხვანაირია, ხალხიც განსხვავებულია და ეს ჩემთვის არ არის სტანდარტულად ურბანული ქალაქი. ქენევის ცენტრში ტბა, ულამაზესი შადრევანი, პატარა იახტები, გამწვანებული ქალაქი უსაშველოდ აწყნარებს იქ ჩასულ ადამიანს.

პირველ დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებს გვქონდა შეხვედრა. ვინაიდან კომიტეტისთვის ყოველ წუთს მნიშვნელობა აქვს, შევთანხმდით, რომ დრო პროდუქტიულად გამოგვეყენებინა და ყველას გვესაუბრა კონკრეტულ საკითხებზე. ასევე, შევთანხმდით მოხსენების ტექსტზე, რომელიც შემდეგ კომიტეტს გადაეგზავნა.

მეორე დღეს უკვე კომიტეტთან შეხვედრის დრო იყო. გაეროს ეს შტაბ-ბინაც სხვანაირია. შემოწმების უზარმაზარი რიგი რომ არ გავგველო, ნამდვილად ვიფიქრებდი,

ადვოკატირება

რომ სხვაგან მოვხდით; წარწერებსაც ძლივს თუ მოვკრავდით თვალს. მოკლედ, აქ თუ მართო მოხვდით, ალბათ დანიშნულების ადგილს ვერ მიაგნებ. ბოლოს, დიდ ვიტრაჟებთან კიბეებზე რომ მოვხვდით, სადაც ერთი-ორი ადამიანი დადიოდა, ნამდვილად მეგონა, რომ შევდომით XIX საუკუნის სასახლეში აღმოვჩნდი, თუმცა, თავაზიანი თანამშრომლების დახმარებით ამ ლაბირინთების გაკვლევის შემდეგ, როგორც იქნა გაისმა ასლგადამლები მანქანების ხმა და უზომოდ ბედნიერი ვიყავი, რომ შემთხვევით სხვა ცივილაზიაში არ მოვხვედრილვართ. მივაგენით დიდ დარბაზს, სადაც ძალიან საინტერესო დისკუსია იწყებოდა გოგონების განათლებაზე. დისკუსიამ ისე დაგვაინტერესა, მოვახერხეთ პირდაპირი ტრანსლაციით ჩართვა ჩვენ პორტალზე www.ginsc.net-ზეც გაგვეშვა. შუადღისას გაეროს უზარმაზარ ბუფეტსაც მივაგენით და დავრწმუნდი, რომ ამერიკული Fast Food-ისგან განსხვავებით, შვეიცარიამი პატივს სცემენ საკუთარ თავს, ჯანსაღ კვებას და ზრუნავენ პირველ რიგში, ჯანმრთელობაზე.

სადილის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გვექონდა შეხვედრა კომიტეტის წევრებთან. ეს იყო დახურული შეხვედრა, სადაც სამოქალაქო სექტორს მიეცა საშუალება, CEDAW კომიტეტისათვის, ქვეყანაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებული მდგომარეობა გაეცნო. ღონისძიების მსვლელობისას კომიტეტის წევრებმა მოგვისმინეს საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და კითხვებიც, ჩვენ მიერ წარდგენილი, ალტერნატიული ანგარიშის საფუძველზე, დასვეს. ისინი ზედმიწევნით იგნობდნენ ამ დოკუმენტს და ზუსტად იმ კითხვებს სვამდნენ, რომელზე პასუხსაც მხოლოდ ასეთი, პირისპირ შეხვედრისას თუ გაიგებდნენ. მოკლედ, კომიტეტის წევრების საგულდაგულო მომზადება ნამდვილად აღსანიშნავი იყო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოების გაერთიანებული ანგარიში წარმოადგინა გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, თუმცა, ეს შეხვედრა ახალა უკვე ჩვენთვისაც დახურული იყო.

ამავე დღეს, კომიტეტში, ჩვენ ზეპირ მოხსენებებსაც მოუხმინეს. შეხვედრაზე მოხსენებით გამოვიდა „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორი, ელენე რუსეცკაია, რომელმაც კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებული ანგა-

რიში წარუდგინა და გააცნო ის ძირითადი პრობლემები და მაგალითები, რომლებიც საქართველოში ქალთა უფლებების შეზღუდვას ასახავს. მათ შორის იყო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, ინსტიტუციონალური მექანიზმები, ქალთა მიმართ ძალადობა, იძულებით გადაადგილებულ ქალთა პრობლემები, ნაადრევი ქორწინებები, ოჯახური ურთიერთობები საქართველოში და სხვა. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან კომიტეტში ანგარიში სახალხო დამცველის აპარატმაც წარადგინა. არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე ინფორმაცია კომისიის წევრებს, ომბუდსმენის მოადგილემ, პაატა მელქაძემ გააცნო. ამ შეხვედრას სამთავრობო დელეგაცია სრული შემადგენლობით დაესწრო და გულდასმით მოისმინეს სამოქალაქო საზოგადოების მიერ გაკეთებული მოხსენებები.


მეორე დღეს, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტში, საქართველოს მთავრობამ კონვენციის შესრულების ანგარიში წარადგინა. მოსმენას ჩვენც ვესწრებოდით. დელეგაციის ხელმძღვანელმა, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა კობახიძემ წარმოადგინა ინფორმაცია ქვეყანაში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული მიღწევების შესახებ, რასაც მოჰყვა მთელდღიანი დისკუსია. ამ დროის განმავლობაში კომიტეტის წევრები სვამდნენ ყველაზე მწვავე კითხვებს და ცდილობდნენ დეტალურად გარკვეულიყვნენ იმ გამოწვევებსა და ხარვეზებში, რაც დღეს ხელს უშლის ქვეყანაში გენდერული პოლიტიკის განხორციელებას.

შედეგად, როდესაც კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული რეკომენდაციები ვნახეთ, აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენ მიერ წარდგენილი ალტერნატიული ანგარიშის 44 რეკომენდაციიდან 23 იყო აღნიშნული. ახლა, საინტერესოა, როგორ შესრულდება ეს რეკომენდაციები და როგორ წარდგება საქართველო 4 წლის შემდეგ იგივე კომიტეტის წინაშე.



KVINNA TILL KVINNA

It`s not only about women,
it`s about information!



wicge.org
ginsc.net
fb.com/WICgeorgia

40, Tsinamdzgvrishvili Str
Tbilisi, 0102 Georgia
Phone: +995 32 295 29 34
Fax: +995 32 294 26 99
office@ginsc.net